

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საზოგადო ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარისხის  
მეცნიერების კათედრა

### **მეტროლოგიის ეკონომიკა**

(ლექციების კონსპექტი)

თბილისი  
2008

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი. . . . .	3
1. მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური როლი საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში. . . . .	5
2. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება. . . . .	6
2.1. გაზომვათა ხარისხის, მათი მეტროლოგიური უზრუნველყოფისა და წარმოების ეფექტურობისა და პროდუქციის ხარისხის ეკონომიკური ურთიერთკავშირი . . . . .	6
2.2. მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების ძირითადი პრინციპები. . . . .	17
2.3. მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების გათვლის მეთოდიკა. . . . .	22
2.4. წლიური ეკონომიკური ეფექტის ანგარიში წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესების ხარჯზე. . . . .	26
2.5. მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე დანახარჯებისა და კაპიტალური დაბანდებების გათვლა. . . . .	29
2.6. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული ზოგიერთი სამუშაოს ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების მაგალითები. . . . .	31
2.7. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში СФ-2М ფაზის კალიბრატორის დანერგვის ეკონომიკური ეფექტურობის გამოთვლა. . . . .	33
2.8. აკუსტიკური ხელსაწყოების (ხმაურმზომების, სპექტრომეტრების, საზომი მიკროფონების და ა.შ.) საუწყებო დამოწმების ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობა რადიოტექნიკურ ქარხანაში. . . . .	34
2.9. ქარხანაში გაზომვის საშუალებების გაქირავების ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობის გათვლა. . . . .	37
2.10. გაერთიანების, საწარმოს მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება. . . . .	39
2.11. ქარხნის მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის გათვლა. . . . .	42
3. მეტროლოგიური სამსახურის ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება . . . . .	45
3.1. პროგნოზირების ობიექტები და მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზირებადი მაჩვენებლები . . . . .	46
3.2. მეტროლოგიური სამსახურის განვითარების პროგნოზის ძირითადი შედეგები . . . . .	55
ლიტერატურა . . . . .	57

სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის ტემპების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორების მთელი სიმრავლიდან განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასალხო მეურნეობის მეტროლოგიურ უზრუნველყოფას.

მეტროლოგიის განვითარება დაკავშირებულია რთული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, საორგანიზაციო და უფლებრივი პრობლემების კომპლექსთან.

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების უფლებურობა სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მეტროლოგიური უზრუნველყოფის ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში ეკონომიკური მექანიზმის განვითარების დონით. მეტროლოგიის განვითარების ყველა ეტაპზე მმართველი ზემოქმედებები გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის პროცესში ხორციელდებოდა ისეთი ეკონომიკური ბერგეტების საფუძველზე, როგორიცაა სანქციები დარღვეული მეტროლოგიური მახასიათებლების მქონე, აგრეთვე აკრძალული გაზომვის საშუალებების გამოყენებისათვის. ისტორიულად სახელმწიფო მოსაკრებლების სისტემა საზომი ტექნიკის დამოწმებისათვის არსებობს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

მეტროლოგიის განვითარება და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე მიმართული სამუშაოების მასშტაბების გაფართოება მოითხოვს მეტროლოგიური სამსახურის მუშაქთა რიცხოვნობის ზრდას, საკმაოდ დიდ კაპიტალდაბანდებებს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და განვითარებაზე, სამეცნიერო კვლევების ძირადლირებული პროგრამების ჩატარებაზე.

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე დანახარჯების მაღალი დონე, მათი ზრდის მდგრადი ტენდენცია განაპირობებს მეტროლოგიური უზრუნველყოფის განხორციელებისათვის განკუთვნილი სახსრების უფლებური გამოყენების უზრუნველყოფის აუცილებლობას. სწორედ ამის შედეგად ფორმირებული იქნა მეტროლოგიის ახალი მიმართულება – მეტროლოგიის ეკონომიკა.

მეტროლოგიის ეკონომიკა წარმოიშვა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების პირაპირზე. პირველ რიგში ეს სასალხო მეურნეობის მართვის თეორიაა, მრეწველობის ეკონომიკა, ეფექტურობის თეორია, ხარისხისა და სტანდარტი-

ზაციის თეორია, მეტროლოგია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ინფორმაციის თეორია და სხვ.

მეტროლოგიის ეკონომიკის შესახებ მეცნიერების შინაარსის შემადგენელი პრობლემების მთელი ნაირსახეობა პირობით შეგვიძლია გავაერთიანოთ 7 მიმართულებაში:

1. საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური როლისა და ადგილის პლევა.

2. წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფისა და მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების გზების პლევა.

3. მეტროლოგიური უზრუნველყოფის მართვის სრულყოფა პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების, გრძელვადიანი პროგნოზებისა და კომპლექსური პროგრამების საფუძველზე.

4. მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის კვლევა, მეტროლოგიური უზრუნველყოფის ამოცანათა გადაწყვეტის კველაზე უფრო ეფექტური გზების ძიება.

5. ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების პროგრესული სისტემების დამუშავება და დანერგვა.

6. მეტროლოგიური სამსახურის მართვის ავტომატიზებული სისტემების დამუშავება და დანერგვა.

7. მეტროლოგების ეკონომიკური განათლების პროპაგანდა და განვითარება.

ამ კონსენტრი განიხილება მეტროლოგიის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა, მისი გავლენა წარმოების ეფექტურობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაზე, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფაზე.

მოცემულია წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების ძირითადი პრინციპები და მეთოდები. მოყვანილია სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის გათვლის პრაქტიკული მაგალითები. განიხილება საწარმოს მეტროლოგიური სამსახურის ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების საკითხები.

## **1. მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური როლი საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში**

მეტროლოგია განეკუთვნება საქმიანობის სახეობებს, რომლებიც ახდენენ უშუალო გავლენას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებაზე. დ. მენდელეევი განიხილავდა თავის მოდგაწეობას ზომათა და წონათა მთაგარ პალატაში როგორც ”მონაწილეობას რესეტის ეკონომიკურ მოწყობაში“. ”მეტრული სისტემის შემოღება, – წერდა ის, – უნდა განეკუთვნებოდეს ეკონომიკურ ზომებს იმიტომ, რომ მისი შემოღება ინახავს როგორც მატერიალური, ისე გონიერივი მუშაობის დროს“.

მსოფლიოში ყოველდღე ტარდება 100 მილიარდზე მეტი გაზომვა. გაზომვები წარმოადგენს შრომითი პროცესების მეტი წილის განუყოფელ ნაწილს. გაზომვების შედეგად ვიღებთ ინფორმაციას ხედლეულის, მასალების, წარმოების იარაღების შესახებ, საწარმოო ურთიერთობების, ეკონომიკური და სოციალური პროცესების მდგომარეობის შესახებ.

საზომი ინფორმაცია წარმოადგენს საფუძველს გადაწყვეტილებათა მიღებისათვის წარმოების პროცესში, სამეცნიერო ექსპერიმენტებში და ა.შ. საზომი ოპერაციები წარმოადგენენ მეცნიერების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ჯანმრთელობის მუშაოთა შრომითი პროცესის მნიშვნელოვან წილს.

დანახარჯები გაზომვებზე შეადგენენ სამრეწველო პროდუქციის თვითდინებულების საშუალოდ 5-10%-ს. ცალკეულ წარმოებებში დანახარჯები გაზომვებზე საორიენტაციოდ შეადგენენ (%-ში):

ავტობუსების წარმოებაში -10;

რადიოელექტრონიკაში -25;

მიკროელექტრონიკაში -25-50;

საპონდიტო და ფეხსაცმლის მრეწველობაში -2-3;

საფეიქრო მრეწველობაში -3-4;

მშენებლობაში -1.

უდიდესი კუთრი წონა აქვთ გაზომვებს სამეცნიერო კვლევებში. ასე, მაგალითად, კოსმოსური პროგრამა “აპოლონის” განხორციელებაზე გაზომვებზე და გამოცდებზე დაიხარჯა 10-11 მილიარდი დოლარი, რაც შეადგენს მთელი პროგრამის საერთო ღირებულების 40%-ზე მეტს.

## **2. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება**

მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ მოეძებნათ მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების ხერხები. ძირითადად ასეთ კვლევებს პქონდა კერძო ხასიათი და მიმართული იყო რაოდენობითი დამოკიდებულების დადგენაზე გაზომვების სიზუსტესა და წარმოების ცალკეულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის (დანახარჯები გაზომვებზე, პროდუქციის კონტროლი და გამოცდები, მისი ხანგამძლეობა და სამუშაოების და ა.შ.).

შემდგომში დამუშავდა მეთოდიკები, რომლებიც დაფუძნებული იყო ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის ზოგად პრინციპებზე, კაპიტალურ დაბანდებებსა და სტანდარტზაკიაზე. არსებითი განმასხვავებელი მომენტი იყო ეკონომიკური ეფექტურობის გათვლის მეთოდები სიზუსტის ზრდის ხარჯზე გაზომვის სხვადასხვა სახეობების მიხედვით.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური ეფექტურობის კვლევის მიმართულებით სამუშაოთა შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი გახდა საერთო მეთოდიკის შემუშავება, ისეთი შეთოდიკისა, რომელმაც უნდა დააკანონოს სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის გათვლის ძირითადი მეთოდები.

განვიხილოთ მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების ძირითადი მეთოდოლოგიური და მეთოდიკური ასპექტები.

### **2.1. გაზომვათა ხარისხის, მათი მეტროლოგიური უზრუნველყოფისა და წარმოების ეფექტურობისა და პროდუქციის ხარისხის ეკონომიკური ურთიერთკავშირი**

საზომი ინფორმაცია – ადამიანთა საქმიანობის სპეციფიკური პროდუქტია. მისი სპეციფიკა ვლინდება იმაში, რომ ის სხვა პროდუქტებისაგან განსხვავებით არამატერიალურია და წარმოადგენს გამოსაკვლევი ან სამართავი ობიექტის სხვადასხვა მახასიათებლების რაოდენობით გამოხატულებას. სა-

ზომ ინფორმაციას, ისევე როგორც ადამიანთა საქმიანობის სხვა პროდუქტებს, გააჩნია სამომხმარებლო ღირებულება და ღირებულება.

დღეისათვის საზომი ინფორმაციის ხარისხის შეფასების პრობლემა ფრიად აქტუალურია. საზომი ინფორმაციის ხარისხის შეფასებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ პროდუქტის ხარისხის თეორიის ძირითადი დებულებები. ამავე დროს უნდა გუზრუნველყოთ ამ ინფორმაციის როგორც ადამიანის საქმიანობის სპეციფიკური პროდუქტის, თვისებებიც.

საზომი ინფორმაციის ხარისხი ვლინდება მისი თვისებით. თვისებების ქვეშ იგულისხმება გაზომვათა ობიექტური თავისებურებები, რომლებიც ვლინდება გაზომვათა შესრულებისა და მათი შედეგების გამოყენების პროცესში. გაზომვათა შედეგები გამოხატავენ მატერიისა ან მოვლენათა, გაზომვის ობიექტების მდგრამარეობას, მათ ურთიერთობას მატერიალური სამყაროს სხვა მოვლენებთან.

საზომი ინფორმაციის ცალკეული თვისებები ახასიათებენ მას რომელიმე ერთი მხრიდან. საზომი ინფორმაცია არის მრავალი თვისების ერთობლიობა და ამიტომ ის შეიძლება იყოს სასარგებლო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

საზომი ინფორმაციის ხარისხი არ წარმოადგენს ყველა თვისების არითმეტიკულ ჯამს. ის გამოხატავს მათ ერთობლიობას, ინფორმაციის მიზანშეწონილობას. ინფორმაციის თვისებები განუყოფელია ერთმანეთისაგან. ცალკეული თვისებების შეცვლა იწვევს საზომი ინფორმაციის ხარისხის შეცვლას.

საზომი ინფორმაციის თვისებებს გააჩნია ობიექტური ხასიათი, ისინი ობიექტურად დამახასიათებელია თვით ინფორმაციისათვის.

ზოგიერთი თვისება ახასიათებს გაზომვებს მნიშვნელოვანი, არსებითი მხრიდან, დანარჩენი – არამთავარი, მეორეხარისხოვანი მხრიდან. ძირითადი თვისებები განსაზღვრავენ საზომი ინფორმაციის როგორც თვისობრივი განსაზღვრულობის არსებობას.

საზომი ინფორმაციის თვისებები ფასდება ხარისხის მაჩვენებლების მეშვეობით. საზომი ინფორმაციის ხარისხის მაჩვენებლის ქვეშ იგულისხმება ამ ინფორმაციის ხარისხის შემად-

გენდობაში შემავალი თვისებების რაოდენობრივი დახასიათება.

ხარისხის მაჩვენებლები განისაზღვრება გაზომვების და მართვისას მათი შედეგების გამოყენების კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით.

ასევავებენ ხარისხის ერთეულოვან, კომპლექსურ, ინტეგრალურ, განზოგადებულ მაჩვენებლებს.

გაზომვის ხარისხის ერთეულოვანი მაჩვენებელი ახასიათებს მხოლოდ მის ერთ-ერთ თვისებას.

გაზომვის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებელი ასახავს გაზომვის შედეგების გამოყენების ეკონომიკური ეფექტის შეფარდებას მის მიღებაზე, გადაცემაზე, შენახვაზე და მოხმარებაზე გაწეულ ჯამურ დანახარჯებთან.

გაზომვის ხარისხის განზოგადებული მაჩვენებელი წარმოადგენს კომპლექსური მაჩვენებლის ნაირსახეობას. ის მიეკუთვნება საზომი ინფორმაციის თვისებათა გარკვეულ ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც ფასდება საზომი ინფორმაციის ხარისხი.

საზომი ინფორმაციის ხარისხის მაჩვენებელთა მთელი ერთობლიობა სხვადასხვა თვისებათა მიმართებით მათი დამოკიდებულების მიხედვით შეგვიძლია გავაერთიანოთ შემდგე 8 ჯგუფში:

I. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოცემული ინფორმაციის დანიშნულებას წარმოების მართვის პროცესში (საკონტროლებელი პარამეტრი, გასაზომი სიდიდე, გაზომვათა არე, დიაპაზონი, გაზომვების პირობები და სხვ);

II. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის სისრულეს (ნაკეთობის ან პროცესის გასაზომი პარამეტრების საჭირო და ფაქტიურად გაზომილი რაოდენობა);

III. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის სიზუსტეს (ინტერვალი, რომელშიც გაზომვის ცდომილება იმყოფება მოცემული ალბათობით, ცდომილების სისტემატური და შემთხვევითი შემდგენები, გაზომვის ცდომილების სისტემატური და შემთხვევითი შემდგენების განაწილების ფუნქციები და სხვ);

IV. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის საიმედოობას (გაზომვის შედეგის სარწმუნობა,

პირველი და მეორე გვარის შეცდომები, ინფორმაციის გამოყენების ვადა და ა.შ.);

V. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის ოპერატიულობას (გაზომვის შედეგის მისაღებად საჭირო დრო);

VI. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის სტანდარტიზაციის დონეს;

VII. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საზომი ინფორმაციის ერგონომიკულ და ესთეტიკურ თვისებებს (ინფორმაციის აღჭმის კონფიკირები, გაზომვის შედეგების გაცემის ფორმა და სხვ);

VIII. საზომი ინფორმაციის ეკონომიკური მაჩვენებლები (მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯები, დანაკარგები, ეკონომიკური ეფექტი და სხვ.).

საზომი ინფორმაციის ხარისხის შეფასება შეიძლება ჩატარდეს კვალიმეტრის მეთოდებით კომპლექსური მაჩვენებლების საფუძველზე. ამ მიზნებისათვის პერსპექტიულია გამოვიყენოთ სტანდარტის “სამრეწველო პროდუქციის ხარისხის დონის შეფასების მეთოდები. ძირითადი დებულებები” და “პროდუქციის ხარისხის შეფასებისათვის საექსპერტო მეთოდების გამოყენების მეთოდიკების” ძირითადი დებულებები.

ერთეულოვანი მაჩვენებლების საშუალებით საზომი ინფორმაციის ცალკეული თვისებების შეფასება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ხარისხის დონის შეფასება დიფერენციალური მეთოდით. ხარისხის დონის შეფასების ქვეშ გვესმის ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც შეიცავს ხარისხის მაჩვენებლების ხომენკლაბურის შერჩევას, მათი რიცხვითი მნიშვნელობების განსაზღვრას, აგრეთვე საბაზო და ფარდობით მაჩვენებლებს ხარისხის მართვისას სარეალიზებელი საუკეთესო გადაწყვეტების დასასაბუთებლად.

ხარისხის დონე (Θ) განისაზღვრება გაზომვის ხარისხის ცალკეული შესაფასებელი ( $Q_3$ ) და საბაზო ( $Q_4$ ) მაჩვენებლების შედარების გზით

$$\Theta = Q_3 / Q_4. \quad (1)$$

გაზომვის ხარისხის შედარებისათვის ბაზად შეგვიძლია გამოვიყენოთ ხარისხის მაჩვენებლების ეტალონური ან საჭირო (ტექნიკური განვითარებული მოცემული) მაჩვენებლები

(Q<sub>b</sub>). ეს მაჩვენებლები რეგლამენტირებულია ნორმატიულ-ბეჭისური დოკუმენტაციით.

საწარმოში გაზომვათა ხარისხის მაჩვენებლების დონის დიფერენციალური შეფასება განისაზღვრება განტოლებით

$$\Theta_b = \sum_{i=1}^n \sum_{j=t}^m \frac{Q_{ij}}{Q_{ij}} \cdot B_i, \quad (2)$$

სადაც  $n$  – გაზომვათა სახეობების რაოდენობაა;

$m$  – გაზომვის  $i$ -ურ სახეობაში საზომი ოპერაციების რაოდენობა;

$B_{ji}$  – გაზომვის  $i$ -ური სახეობის კუთრი წონაა საწარმოში გაზომვათა საერთო ერთობლიობაში.

მაგრამ ხარისხის დონის დიფერენციალური შეფასება ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას გაზომვის შედეგების მთელი ერთობლიობის ხარისხის შესახებ.

საზომი ინფორმაციის ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით

$$K = \sum_{i=1}^l Q_i \cdot p_i, \quad (3)$$

სადაც  $l$  – საზომი ინფორმაციის შესაფასებელ თვისებათა რაოდენობაა;

$p_i$  – საზომი ინფორმაციის  $i$ -ური თვისების წონადობის კოეფიციენტია.

გაზომვათა ცალკეული თვისებების  $p_i$  კოეფიციენტების განსაზღვრა წარმოადგენს საკმაოდ რთულ პროცესს. არსებობს პროდუქციის ცალკეული თვისებების წონადობის განსაზღვრის მრავალი მეთოდი, რომლებიც დაფუძნებულია დირექტულებით, საექსპერტო და კომბინატორულ პრინციპებზე.

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია წონადობის კოეფიციენტების განსაზღვრის საექსპერტო მეთოდი. ცალკეულ შემთხვევებში წონადობის კოეფიციენტები შეგვიძლია განვსაზღვროთ დირექტულებითი მაჩვენებლების (დანახარჯები გაზომვებზე, სხვადასხვა დანაკარგები და ა.შ.) საფუძველზე. წონადობის კოეფიციენტების სიდიდის დადგენა ხდება გაზომვის შედეგების გამოყენების კონკრეტული პირობებისათვის. კოეფიციენტების სიდიდე არ რჩება მუდმივი დროის მიხედვით.

წარმოების მართვის პროცესში მოთხოვნების შეცვლა იწვევს კოეფიციენტების სიდიდის გადანაწილებას.

საწარმოში გაზომვათა ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი გამოითვლება ფორმულით

$$K = \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m K_{ij} \cdot B_i, \quad (4)$$

დიდი პრაქტიკული და თეორიული გამოყენება აქვს საზომი ინფორმაციის ხარისხის ინტეგრალურ მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებლების უპირატესობას კომპლექსურთან შედარებით წარმოადგენს ინფორმაციის სარგებლიანობისა და ამ ინფორმაციის მისაღებად საჭირო დანახარჯების გათვალისწინება.

საზომი ინფორმაციის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლების განსაზღვრა მოითხოვს მისი სამომხმარებლო ღირებულების გამოვლენის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებას.

საზომი ინფორმაცია გამოიყენება სხვადასხვა ობიექტების მართვის პროცესში გადაწყვეტილებათა მისაღებად. ინფორმაციის ხარისხის ყოველ დონეს შეესაბამება გარაგული დანახარჯები და დანაკარგები (გაზომვათა ცდომილებების ხარჯზე, წარმოების რეზერვების არასრული გამოყენების გამო და ა.შ.).

საზომი ინფორმაციის გამოვლენების სასარგებლო ეფექტის მნიშვნელობა შეგვიძლია გავზომოთ ღირებულებით გამოსახულებაში ეკონომიკური ეფექტის სიდიდით, რომელსაც ვიდებთ ობიექტების მართვის პროცესში დანაკარგების შემცირების ხარჯზე, აგრეთვე გაზომვებზე დანახარჯების გამო.

აქედან გამომდინარე, საზომი ინფორმაციის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებელი

$$K_{\text{int}} = \frac{I_{\text{gx}} \cdot (1 + E_{\text{g,e}})}{I_{\text{d,s}} \cdot (1 + E_{\text{n}})}, \quad (5)$$

სადაც  $I_{\text{gx}}$  – გაზომვათა ხარისხის ზრდის ინდექსია შესაფასებელ ვარიანტში საბაზო ვარიანტთან შედარებით;

$E_{\text{g,e}}$  – გაზომვათა ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი;

$I_{ds}$  – გაზომვებზე დანახარჯების ზრდის ინდექსია შესაფასებელ ვარიანტში საბაზო ვარიანტთან შედარებით;

$E_n$  – ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი (0,15);

$$I_{gx} = \frac{K_{x0}}{K_{xs}} \quad (\text{აქ } K_{x0}, K_{xs} – \text{გაზომვათა ხარისხის კომპლექსური მაჩვენებლებია შესაბამისად შესაფასებელი და საბაზო ვარიანტებისათვის.)$$

ანალოგიურად გაითვლება გაზომვებზე დანახარჯების ზრდის ინდექსიც.

საწარმოს მასშტაბში გაზომვათა ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებელი გაითვლება შემდეგნაირად:

$$K_{obj,s} = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n K_{obj,i,j} \cdot B_{gi}. \quad (6)$$

გაზომვათა ხარისხის შეფასების რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ქმნის არსებით წინამდღვრებს მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის მართვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხარისხის მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით შეგვიძლია მნიშვნელოვნად ავამაღლოთ გაზომვათა მდგომარეობის ანალიზის ეფექტურობა, ოპერატიულად და უფრო სარწმუნოდ გავაანალიზოთ და შეფასოთ გაზომვათა სისტემის გაუმჯობესების დინამიკა და მათი მეტროლოგიური უზრუნველყოფა.

გაზომვათა ხარისხის დიფერენციალური მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ გამოვავლინოთ გაზომვათა სისტემის ეფექტურობისა და მათი მეტროლოგიური უზრუნველყოფის ზრდის რეზერვები.

გაზომვათა სახეობებისა და ტერიტორიული ნიშან-თვისებების მიხედვით ხარისხის შეფასება და ანალიზი ქმნის კარგ წინამდღვრებს მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის პროგრამების დამუშავებისათვის.


უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის რიგ დარგებში გაზომვათა ხარისხის შეფასების მეთოდები გამოიყენება გაზომვათა მდგომარეობის ანალიზის ჩატარების პრაქტიკაში,

მეტროლოგიური სამუშაოების დაგეგმვისას, მეტროლოგიური სამსახურების საქმიანობის შედეგების შეფასებისას.

გაზომვათა ხარისხის ამაღლების პერსპექტივების დადგენისათვის (რაც წარმოადგენს გაზომვათა მეტროლოგიური უზრუნველყოფის ხაბოლოო მიზანს) განვიხილოთ გაზომვათა ხარისხის ( $K_g$ ) კავშირი და ზეგავლენა პროდუქციის ან სამუშაოს ხარისხზე ( $K_{\text{პრ}}$ ), მის დირექტულებაზე ( $C_{\text{პრ}}$ ) და გაზომვათა ეკონომიკურ ეფექტურობაზე ( $E_g$ ):

$$K_{\text{პრ}} = f(K_g); C_{\text{პრ}} = f(K_g); E_g = f(K_g)$$

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას გაზომვათა ხარისხის ამაღლების ხარჯზე აქვს თავისი ზღვარი, რომელიც გაპირობებულია მოცემული ტექნოლოგიური დაშვებებით, ტექნოლოგიური პროცესით. ამ ზღვრის მიღწევისას  $K_g$ -ის შემდგომი ზრდა ნაკეთობის არსებული კონსტრუქციისა და მისი წარმოების ტექნოლოგიის პირობებში აღარ გვაძლევს  $K_{\text{პრ}}$ -ის საგრძნობ მომატებას.  $K_g$ -ის ზრდის გავლენის ხასიათი  $K_{\text{პრ}}$ -ის გაუმჯობესებაზე წარმოდგენილია მრუდით ნახაზზე 1.



მიღწეული და საჭირო  $K_g$ -ის მიხედვით ( $K_g$ -ის არსებობისას) მრუდის ცალკეულ უბნებზე შესაძლებელია შემდეგი შემთხვევები:  $\Delta K_{\text{პრ}} = \Delta K_g$ ;  $\Delta K_{\text{პრ}} > \Delta K_g$ ;  $\Delta K_{\text{პრ}} < \Delta K_g$ ;  $\Delta K_{\text{პრ}} = 0$ . რაც უფრო ახლოსაა გაზომვათა ხარისხის მიღწეული დონე საჭიროსთან, მით ნაკლებია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ტემპები.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის პროგრამის დამუშავებისას აუცილებელია წარმოების მოთხოვნილებათა პერსპექტიული, მეცნიერულად დასაბუთებული გათვალისწინება. ამ შემთხვევაში საუბარია პროგნოზირების შესახებ.  $K_g$ -ის ზრდისას იზრდება შრომის მწარმოებლურობა და მატერიალური რესურსების ეკონომია, უმჯობესდება საწარმოო ფონდების გამოყენება, მცირდება დანაკარგები წუნის გამო და მცირდება პროდუქციის ოვითლირებულება. ამავე დროს  $K_g$ -ის გაუმჯობესება მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს ( $\Delta_{k,d}$ ) და ცალკეულ შემთხვევებში მიმდინარე დანახარჯების ( $\Delta_d$ ) ზრდას. გაზომვათა ხარისხის ზრდისას შეინიშნება  $\Delta C_{pr}$  ეკონომიის ტემპების შემცირების და  $\Delta_{k,d} + \Delta_d$  დანახარჯების ტემპების ზრდის ტენდენცია.  $K_g$  - ის  $C_{\text{ა-ზ}} = f(K_g)$  მრუდის მეშვეობით შეგვიძლია დავინახოთ  $\Delta C_{pr} = f(K_g)$  მრუდის მეშვეობით.

გაზომვათა მიღწეული და საჭირო ხარისხის მიხედვით შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც  $\Delta C_{pr} = \Delta K_g$ ;  $\Delta C_{pr} > \Delta K_g$ ;  $\Delta C_{pr} = 0$   $\Delta K_g$ -ს არსებობისას;  $\Delta C_{pr} < \Delta K_g$ .

ვნახოთ, როგორ იცვლება  $E_{g,e}$  ეკონომიკური ეფექტურობა  $K_g$ -ის გაუმჯობესებისას.

მრუდზე აღნიშნულია ოთხი დამახასიათებელი უბანი. პირველ მათგანზე გაზომვათა ხარისხის მომატება მიღწეულია შედარებით მცირე დანახარჯებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის პირობებში. ამ უბანზე გაზომვათა ხარისხი დაბალია. მეორე უბანზე ხდება  $E_{g,e}$ -ის შედარებითი სტაბილიზაცია.


$K_g$  ცალკეული პარამეტრების (სიზუსტე და სხვ.) მნიშვნელობათა ზღვრულთან მიახლოებისას, დანახარჯების მკვეთრი ზრდისა და გაზომვათა მაღალ ხარისხში საჭიროების გარკვეულ შემცირებასთან დაკავშირებით, მოქმედებს ეკონო-

მიკური ეფექტურობის შემცირების ტენდენცია (მესამე უბანი).

გაზომვათა ხარისხის მნიშვნელოვანი რეზერვისას დანახულები მის გაუმჯობესებაზე აჭარბებენ ეკონომიკურ ეფექტს.

$K_g$ ,  $K_{\alpha}$ ,  $C_{\alpha}$ ,  $E_{g,e}$ -ის განხილული ურთიერთკავშირი იწვევს საზომი საქმის გაუმჯობესების პროგრამების ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების დამუშავების აუცილებლობას. ვინაიდან პროდუქციის საჭირო ხარისხი უნდა მივიღოთ მინიმალური დანახარჯებით გაზომვებზე, პერსპექტიულია დანახარჯების სიდიდის გაზომვათა სიზუსტეზე დამოკიდებულების კვლევა. ამ დამოკიდებულების საფუძველზე მათემატიკური მოდელების შექმნა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ გაზომვათა თანამედროვე საშუალებების დანერგვით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების პრინციპულად ახალი, უფრო ოპერატიული მეთოდები.

დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს მეტროლოგიური უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლების ზეგავლენის შესწავლა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (ნახ. 2).



ნახ. 2

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური ეფექტი  $E_{mu}$  მონოტონურად იზრდება, აღწევს თავის მაქსიმუმს გარკვეული (მოცემული)  $K_{mu}$ -ის დროს და სტაბილიზირდება ამ დონეზე  $[E_{mu} = f(\Delta K_{mu})]$  მრუდი].

$K_{mu}$ -ის ზღვრულ მნიშვნელობებთან მიახლოებისას მკვეთრად მცირდება მოცემული ხარისხის მეტროლოგიური უზრუნველყოფის საჭიროება ( $\Pi_{mu}$ ) (იხილეთ  $\Pi_{mu} = f(\Delta K_{mu})$  მრუდი). მრუდი  $Z_{mu} = f(\Delta K_{mu})$  ასახავს მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე დანახარჯებისა და  $K_{mu}$ -ის დამოკიდებულებას.

მრუდები  $Z_{mu} = f(\Delta K_{mu})$ ,  $E_{mu} = f(\Delta K_{mu})$ ,  $\Pi_{mu} = f(\Delta K_{mu})$  ახასიათებენ  $E_{mu}$  ეკონომიკური ეფექტურობის დამოკიდებულებას მეტროლოგიური უზრუნველყოფის ხარისხზე  $E_{mu} = f(\Delta K_{mu})$ . წარმოების კონკრეტული პირობებისათვის დამახასიათებელია ამ მრუდის ოთხი უბანი. პირველ (1) უბანზე მეტროლოგიური უზრუნველყოფის გაუმჯობესება ხდება მცირე დანახარჯებით.  $K_{mu}$ -ის უფრო მაღალი დონე მოითხოვს მეტ დანახარჯებს და გვაძლევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს, მაგრამ ეკონომიკური ეფექტურობა ან სტაბილიზირდება (უბანი 2), ან ეცემა (უბანი 3), რაც მიუთითებს რეზერვების არსებობაზე მეტროლოგიური სამსახურის ორგანიზაციაში ან მოთხოვნების გაზრდაზე მეტროლოგიური სამუშაოების მიმართ. ბოლოს, შესაძლებელია სიტუაციები, როდესაც  $K_{mu}$ -ის მეტისმეტი ზრდა არ მოქმედებს  $K_g$ -ზე მთლიანად, მოქმედებს მისი უმნიშვნელოვანესი თვისებების მხოლოდ ნაწილზე (უპირველეს ყოვლისა საჭირო სიზუსტის და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე).

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლებისას მეტროლოგიური უზრუნველყოფის ეკონომიკური ეფექტურობის შემცირების ტენდენცია გაპირობებულია იმით, რომ მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ადრეულ ეტაპზე არსებობს შრომით და მატერიალური რესურსების ეკონომიის დიდი რეზერვები,  $K_g$ -ის ამაღლების რეზერვები. მაგრამ ეს რეზერვები იწურება, როდესაც მიღწეული დონე უახლოვდება საჭიროს. ასე, მაგალითად, თუ დღესდღეობით მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფის ეკონომიკური ეფექტურობის კოფიციენტი, ახალი ეტალონებისა და ეტალონური კომპლექსების შექმნის ხარჯზე

შეადგენს 8-10 დოლარს, ხოლო სანიმუშო საშუალებებისა 4-6 დოლარს დანახარჯების ერთ დოლარზე, შემდგომი თაობების ეტალონებისა და სხვა მეტროლოგიური ტექნიკის შექმნა მოითხოვს ეკონომიკური უფექტურობის უფრო დაბალ კოეფიციენტს. ამ შემთხვევაში პირველ ხარისხის როლს თამაშობს ისეთი ფაქტორი, როგორც მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ეკონომიკურობა. გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის მეთოდები და საშუალებები, მათი სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური დონე სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკურ უფექტურობას.

## 2.2. მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური უფექტურობის შეფასების ძირითადი პრინციპები

ეკონომიკური უფექტურობა მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფისა და მეტროლოგიური სამსახურის სხვადასხვა ორგანოების მუშაობის უმთავრესი შეფასებაა. ეკონომიკური უფექტურობის გათვლის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების ზეგავლენა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საბოლოო შედეგში წარმოების უფექტურობასა და პროდუქციის ხარისხზე.

ამ გათვლების შედეგები გამოიყენება მეტროლოგიური უზრუნველყოფის გეგმებისა და პროგრამების სრულყოფის ეკონომიკური დასაბუთებისათვის, ქვენის ეტალონური ბაზის განვითარებისათვის, კვლევითი დაწესებულებების თემატურ გეგმებში ეტალონური კომპლექსების, გაზომვის სანიმუშო საშუალებებისა და მეთოდების დამუშავებაზე დავალებების ჩართვის მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის.

ეკონომიკური უფექტურობის გათვლები გამოიყენება აგრეთვე მეტროლოგიური ობიექტების აშენების მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის, მეტროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სტანდარტების სამართველოს ტერიტორიული ორგანოების, საუწყებო მეტროლოგიური სამსახურების ორგანიზაციის მუშაობის ანალიზისა და ეკონომიკური უფექტურობის შეფასებისათვის, ახალი მეტროლოგი-

ური ტექნიკის დამზადებელი, მწარმოებელი და მაცხაპლუ-  
ატირებელი ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური სტიმუ-  
ლირების სიდიდის განსაზღვრისათვის.

სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური  
ეფექტურობის შეფასება ხდება რიგი ფუძემდებლური პრინ-  
ციპების საფუძველზე.

მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობის  
ქვეშ გვესმის წარმოებაში ცოცხალი და გასაგნოვრებელი  
შრომის ეკონომიკის დონე, რომელიც თანაზომადი უნდა იყოს  
ამისათვის გაწეულ დანახარჯებთან. მეტროლოგიურ სამუ-  
შაოთა ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა წარმოად-  
გენს სახალხო მეურნეობის ეკონომიკაზე ამ სამუშაოთა გავ-  
ლენის გაზომვის პროცესს. ფუძემდებლურ პრინციპს მეტრო-  
ლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობის განსაზ-  
ღვრისათვის წარმოადგენს სახალხოსამეურნეო მიდგომა. ამ  
პრინციპის რეალიზაცია ეკონომიკური ეფექტურობის დასა-  
ბუთების პროცესში მოითხოვს ერთის მხრით სახალხო მე-  
ურნეობის სხვადასხვა დარგებში მეტროლოგიურ სამუშაოთა  
შესრულებაზე გაწეული ყველა შესაძლო დანახარჯების მაქ-  
სიმაღლურ გათვალისწინებას, და მეორე მხრით ქვეყნის ეკო-  
ნომიკისათვის, სახალხო მეურნეობის დარგებისათვის, ცალ-  
კეული გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის ამ სამუშა-  
ოთა გამოყენების ეკონომიკურ შედეგებს. ამ მოთხოვნის შე-  
საბამისად განისაზღვრება მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკო-  
ნომიკური ეფექტურობა. სახალხო მეურნეობის ცალკეული  
დარგებისათვის მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური  
ეფექტურობის შეფასება, ისევე როგორც კონკრეტული გაერ-  
თიანებებისათვის, საწარმოებისათვის, მეტროლოგიური სამ-  
სახურებისათვის, ხდება ლოკალური ეკონომიკური ეფექტუ-  
რობის გათვლის გზით. ლოკალური ეკონომიკური ეფექ-  
ტურობის გათვლისას უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური  
ეფექტი (მოგება), რომელსაც ვიდებთ ახალი მეტროლოგი-  
ური სამუშაოების დანერგვის შედეგად. ეს ეფექტი მიიღწევა  
დარგის, გაერთიანების, საწარმოს მასშტაბში წარმოების  
ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ხარჯზე.

დანახარჯების გათვლისას ახალ მეტროლოგიურ სამუშა-  
ოებზე უნდა გავითვალისწინოთ დანახარჯების ყველა ის სა-  
ხე, რომელიც დაკავშირებულია მათ შესრულებასთან მოცე-

მული დარგების, გაერთიანებების, საწარმოების, მეტროლოგიური სამსახურების კონკრეტულ პირობებში. მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობა უნდა განისაზღვროს კომპლექსურად, სისტემური მიღომის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ამ სამუშაოთა დანერგვის შედეგად წარმოების მართვის ყველა დონეზე მეტროლოგიური უზრუნველყოფის ცვლილების ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე (დამუშავება, წარმოება, პროდუქციის მოხმარება) მათი გამოყენების ეკონომიკური შედეგების გამოვლენას. მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება ეფექტურობის სამეცნიერო, ტექნიკურ, სოციალურ და სხვა სახეებთან კომპლექსში.

მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება წარმოების მართვის დონეების მიხედვით მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფის პროგრამის ყველა სტადიაზე (ასხვავებები წინასწარ, მოსალოდნელ და ფაქტიურ ეკონომიკურ ეფექტურობას).

წინასწარი ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება მეტროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაწყების სტადიაზე, მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე გამიზნული პროგრამებისა და გეგმების დამუშავების სტადიაზე.

მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტურობა გაითვლება მეტროლოგიურ სამსახურში ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხის გადაწყვეტისას, მეტროლოგიურ სამუშაოთა შესრულების ახალი ორგანიზაციული ფორმების გამოყენებისას მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული დონისძიებების პროგრამებისა და გეგმების დანერგვისას და სხვ.

ფაქტიური ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება მას შემდეგ, რაც მეტროლოგიური სამსახურის პრაქტიკაში დაინერგება ახალი ტექნიკა, მოხდება პროგრამებისა და გეგმების რეალიზაცია.

ამჟამად ხდება ძირითადად წინასწარი და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა. ვინაიდან არ ხდება წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მეტროლოგიური სამუშაოების გავლენის სათანადო გათვა-

ლისწინება, ფაქტიური ეკონომიკური ეფექტურობის გათვლა საკმაოდ გართულებულია და სრულდება ძირითადად ცალკეული საწარმოების მასშტაბში.

მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება მეტროლოგიური უზრუნველყოფის ერთი და იმავე პროცესის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედარების გზით. შედარების ბაზად იღებენ საუკეთესო სამამულო მეტროლოგიური ტექნიკის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მეტროლოგიურ სამუშაოთა შესრულების საუკეთესო ფორმებსა და მეთოდებს.

ეკონომიკური ეფექტის გათვლისას უნდა გავითვალისწინოთ შესადარებელი ვარიანტების შესადარისობა მეტროლოგიურ სამუშაოთა მოცულობის, ხარისხობრივი პარამეტრების, დროის ფაქტორის, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური ეფექტების მიხედვით.

მეტროლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლებია:

- ა) სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტის გათვლისას: პოტენციური ეკონომიკური ეფექტი;
- წლიური ეკონომიკური ეფექტი;
- ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი და დამატებითი კაპიტალური დაბანდებების უკუგების ვადა.
- ბ) სამეურნეო-საანგარიშო ეკონომიკური ეფექტურობის გათვლისას:

პოტენციური ეკონომიკური ეფექტი;

გაერთიანების, საწარმოს წლიური ეკონომიკური ეფექტი (დამატებითი მოგება).

მეტროლოგიურ სამსახურში კაპიტალურ დაბანდებათა რენტაბილურობა;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული პროგრამების და ღონისძიებათა გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი კაპიტალური დაბანდებების უკუგების ვადა.

მეტროლოგიური ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ვარიანტია ის ვარიანტი, რომელიც გვაძლევს ყველაზე დიდ ეკონომიკურ ეფექტს. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული ამა თუ იმ ღონისძიებათა

რეალიზაცია ეკონომიკურად მიზანშეწონილია, თუ მათი ეკონომიკური ეფექტურობის ფარდობითი მაჩვენებლები (ეფექტურობის კოეფიციენტი, უკუგების ვადები, რენტაბელურობა) არ ჩამოუვარდება საწარმოს, გაერთიანების ან დარგის ნორმატიულ ან საშუალოდმიღწეულ ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ეკონომიკური ეფექტის გათვლისას დროის ფაქტორს ითვალისწინებენ იმ შემთხვევებში, როდესაც კაპიტალური დაბანდებები მეტროლოგიურ სამსახურში ხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც დანახარჯები მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე და წარმოების შედეგები მეტროლოგიური სამსახურის მუშაობის რეჟიმის შეცვლის გამო არსებითად იცვლება ახალი მეტროლოგიური ტექნიკის გამოყენების წლების მიხედვით, როდესაც წლების განმავლობაში იცვლება მეტროლოგიურ სამუშაოთა შესრულების ფორმები და მეთოდები.

დროის ფაქტორების გათვალისწინება ხდება მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების დაყვანის გზით დროის ერთ მომენტთან (საანგარიშო წლის დასაწყისთან). დაყვანა ხდება დანახარჯებისა და ეკონომიკური ეფექტის გამრავლებით (გაყოფით) დაყვანის შემდეგ კოეფიციენტზე

$$\alpha = (1+E)^t, \quad (7)$$

სადაც  $E$  – დაყვანის ნორმატივია (0,1);

$t$  – იმ წლების რაოდენობაა, რომლებიც აშორებენ

მოცემული წლის დანახარჯებს და ეფექტს საანგარიშო წლის დასაწყისიდან.

საანგარიშო წლის დასაწყისამდე გაწეული დანახარჯები და მიღებული ეფექტები მრავლდება  $\alpha$ -ზე, ხოლო საანგარიშო წლის დასაწყისის შემდეგ – იყოფა მასზე.

დროის მიხედვით დაყვანის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოყვანილია პირველ ცხრილში.

საანგარიშო წლის სახით ვიდებთ ახალი ტექნიკის მეტროლოგიური უზრუნველყოფის, მეტროლოგიური უზრუნველყოფის ტექნოლოგიის, ახალი ორგანიზაციული ფორმებისა და ა.შ. პრაქტიკაში გამოყენების მეორე წელს.

$t$	$\alpha$	$1/\alpha$	$t$	$\alpha$	$1/\alpha$
1	1,1000	0,9091	11	2,8531	0,3505
2	1,2100	0,8264	12	3,3184	0,3186
3	1,3310	0,7513	13	3,4522	0,2897
4	1,4641	0,6830	14	3,7975	0,2633
5	1,6105	0,6209	15	4,1772	0,2394
6	1,7716	0,5645	20	6,7274	0,1486
7	1,9487	0,5132	25	10,8346	0,0923
8	2,1436	0,4665	30	17,4492	0,0573
9	2,3579	0,4241	40	45,2587	0,0221
10	2,5937	0,3855	50	117,3895	0,0085

### 2.3 მეტროლოგიური სამუშაოების გკონომიკური კვაპტერობის მაჩვენებლების გათვალის მეთოდიკა

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების გკონომიკური ეფექტი წარმოადგენს ყველა საწარმო ორსერსის (ცოცხალი შრომის, მასალების, ენერგიის, კაპიტალური დანაბანდებების) ეკონომიის ჯამს, რომლებიც მიღწეული იყო ახალი მეტროლოგიური ტექნიკის, მეტროლოგიურ სამუშაოთა და გაზომვათა ჩატარების მეთოდების, მეტროლოგიური სამსახურის მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმების დამუშავებით, წარმოებითა და პრაქტიკაში გამოყენებით. საბოლოო ჯამში ეს ეკონომია გამოისახება ნაციონალური შემოსავლის გაზრდაში.

ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა ეფუძნება მეტროლოგიური უზრუნველყოფის ამოცანების სამეცნიერო, ტექნიკური ან საორგანიზაციო გადაწყვეტის შესადარებელი ვარიანტების მიხედვით დაყვანილი დანახარჯების შეპირისპირებას. დაყვანილი დანახარჯები – ესაა მეტროლოგიურ სამუშაოთა ან მეტროლოგიური ტექნიკის თვითდირებულებისა და ნორმატიული მოგების ჯამი

$$E_{\text{xd}} = C_p + E_n \cdot K, \quad (8)$$

სადაც  $C_p$  (Cost price) – მეტროლოგიური სამუშაოს (მეტროლოგიური ტექნიკის) ერთეულის თვითდირებულებაა,

$E_n$  – კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ნორმა-  
ტიული კოეფიციენტია (0,15);

$K$  – მეტროლოგიური სამსახურის საწარმოო ფონ-  
დებში კუთრი კაპიტალური დაბანდებებია.

მეტროლოგიურ სამუშაოთა სხვადასხვა სახეების მიხედ-  
ვით დაყვანილი დანახარჯების შეპირისპირების ხერხებს  
წლიური ეკონომიკური ეფექტის გათვლისას აქვს მნიშვნე-  
ლოვანი სპეციფიკა.

წლიური ეკონომიკური ეფექტი

$$E_{\text{fwar.m}} = \left[ \left( C_p^I + E_n K^I \right) \cdot \frac{B_{\text{ms}}^{\text{II}}}{B_{\text{ms}}^{\text{I}}} - \left( C_p^{\text{II}} + E_n \cdot K^{\text{II}} \right) \right] + E_{\text{fwar.}}, \quad (9)$$

სადაც  $B_{\text{ms}}^{\text{I}}$   $B_{\text{ms}}^{\text{II}}$  – შესაბამისად იმ მეტროლოგიურ სამუშაოთა  
წლიური მოცულობაა, რომელთა შესრუ-  
ლებისას გამოიყენება შესაცვლელი და  
ახალი ტექნიკა;

$E_{\text{fwar.}}$  – წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვე-  
ნებლების გაუმჯობესების ხარჯზე მიღებუ-  
ლი წლიური ეკონომიკური ეფექტი.

მე-9 ფორმულის დანარჩენი მნიშვნელობები ანალოგიუ-  
რია (8) ფორმულის მნიშვნელობებისა. აქ და შემდგომში „I“  
ინდექსით მოცემულია სიდიდეთა მნიშვნელობები საბაზო  
გარიანტის მიხედვით, „II“ ინდექსით – დასანერგი გარიანტის  
მიხედვით.

მეტროლოგიური სამუშაოს პოტენციური ეკონომიკური  
ეფექტი ( $E_{\text{p.m}}$ ) წარმოადგენს იმ ეკონომიკური ეფექტების სა-  
ერთო ჯამს, რომლებსაც მიიღებს სახალხო მეურნეობა ან  
ცალკეული დარგები, საწარმოები მეტროლოგიური ტექნიკის  
სამსახურის მთელი ვადის განმავლობაში ან მეტროლოგი-  
ური უზრუნველყოფის სრულმყოფი ღონისძიებების შედეგე-  
ბის გამოყენებისას.

პოტენციური ეკონომიკური ეფექტი ( $E_{\text{p.m}}$ ) განისაზღვრება  
შემდეგი ფორმულით

$$E_{\text{p.ms}} = \left[ \left( C_{\text{pm}}^I + E_{\text{n}} \cdot K_{\text{m}}^I \right) \cdot \frac{B_{\text{ms}}^{II}}{B_{\text{ms}}^I} \cdot \frac{A_1 + E_{\text{n}}}{A_2 + E_{\text{n}}} \right] - \left( C_{\text{pm}}^{II} + E_{\text{n}} \cdot K_{\text{m}}^{II} \right) + \\ + \frac{\left( C_p^I \cdot \frac{B_{\text{ms}}^{II}}{B_{\text{ms}}^I} - C_p^{II} \right) + E_{\text{n}} \cdot \left( K_{\text{T0}}^I \cdot \frac{B_{\text{ms}}^{II}}{B_{\text{ms}}^I} - K_{\text{T0}}^{II} \right) + E_{\text{fwar.}}}{A_2 + E_{\text{n}}} \cdot N_{\text{mt}}^{II}, \quad (10)$$

სადაც  $C_{\text{pm}}^I C_{\text{pm}}^{II}$  – შესაბამისად მიმდინარე დანახარჯებია მეტ-როლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული დონისძიებების დამუშავებაზე ან ეტალონების, გაზომვის სანიმუშო საშუალებების, სტანდარტული ნიმუშების წარმოებაზე შესადარებელი ვარიანტების მიხედვით;

$E_{\text{n}}$  – კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ნორმა-ტიული კოეფიციენტი;

$K_{\text{m}}^I, K_{\text{m}}^{II}$  – შესაბამისად კაპიტალური დაბანდებებია ეტალონური კომპლექსებისა და საშემოწმებო სქემების, გაზომვის სანიმუშო საშუალებების, სტანდარტული ნიმუშების დამუშავებაზე, წარმოებაზე და მეტროლოგიური უზრუნველყოფის პრაქტიკაში დანერგვაზე შესადარებელი ვარიანტების მიხედვით.

დაყვანილი დანახარჯების  $C_{\text{pm}} + E_{\text{n}} \cdot K_{\text{m}}$  შემადგენლობაში შედის დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, ეტალონებისა და სანიმუშო საშუალებების გამოცდასა და ატესტაციაზე, მათი წარმოების მომზადებაზე, დაყვანილი დანახარჯები წარმოებაზე, ტრანსპორტირებაზე, მონტაჟზე და გაწყობაზე, დანახარჯები მეტროლოგიური ობიექტების კაპიტალურ მშენებლობაზე, მეტროლოგების კადრების სწავლებაზე, დანახარჯები სახელმწიფო სტანდარტების დამუშავებაზე და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება პირველად შექმნილი ეტალონური კომპლექსის, სანიმუშო საშუალებისა და სხვათა შეფასება  $C_{\text{pm}} + E_{\text{n}} \cdot K_{\text{m}}$  სიდიდის ნაცვლად გამოიყენება გაზომვის მოცე-

მული სახეობის მიხედვით ქვეყანაში არსებული მეტროლოგიური საშუალებების საბალანსო ღირებულება.

$A_1 + E_n$  – შესაცვლელ ვარიანტთან შედარებით დასახურგი ტექნიკური საშუალების გამოყენების ვადისა ან მეტროლოგიური დამუშავების შედეგების გამოყენების ვადის ცვლილების აღმრიცხველი კოეფიციენტი;

$A_1, A_2$  – საბალანსო ღირებულებებიდან ანარიცხის წილია სრულ ადდგენაზე (რენოვაციაზე)  
შესადარებელი ვარიანტების მიხედვით.

ახალი ტექნიკის რენოვაციის კოეფიციენტის (A) მნიშვნელობები მოცემულია მე-2 ცხრილში

(ცხრილი 2)

$T_{\delta, \text{წალი}}$	A						
1,0	1,0000	6,0	0,1296	11,0	0,0540	20	0,0175
2,0	0,4762	7,0	0,1054	12,0	0,0468	25	0,0102
3,0	0,3021	8,0	0,0874	13,0	0,0408	30,0	0,0061
4,0	0,2155	9,0	0,0736	14,0	0,0357	40,0	0,0022
5,0	0,1638	10,0	0,0627	15,0	0,0315	50,0	0,00086

შენიშვნა:  $T_\delta$  – ახალი ტექნიკის გამოყენების ვადა.

$C_{pm0}^I C_{pm0}^{II}$  – შესაბამისად წლიური მიმდინარე დანახარჯებია მეტროლოგიურ სამუშაოთა შესრულებაზე ან წლიური საექსპლუატაციო დანახარჯებია შესადარებელი ვარიანტების მიხედვით.

$C_{pm0}$ შემადგენლობაში შედის შემდეგი დანახარჯები:  
ხელფასი (ძირითადი და დამატებითი) დარიცხვებით დაზღვევაზე; ზედნადები ხარჯები; სამორტიზაციო ანარიცხები რენოვაციაზე ანარიცხების გათვალისწინების გარეშე; დანახარჯები გაზომვის მუშა საშუალებების დემონტაჟზე, მათ ტრანსპორტირებაზე მეტროლოგიური სამუშაოების შესრულების ადგილამდე და უკან; დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური ერთეულების მნიშვნელობათა აღწარმოებასთან და შენახვასთან, მუშა ეტალონებისა და

გაზომვის სანიმუშო საშუალებების ექსპლუატაციასა და ატესტაციასთან საშემოწმებო სქემის ყველა რგოლში.

$K_{\text{r0}}^I$  – შესაბამისად თანმხლები კუთრი კაპიტალური დაბანდებები შესადარებელი ვარიანტების მიხედვით (საწარმოო ფართობები, დამატებითი მოწყობილობა და ა.შ.);

$E_{\text{fva}_0}$  – ჯამური წლიური ეკონომიკური ეფექტი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ხარჯზე;

$N_{\text{mt}}^{II}$  – მეტროლოგიური უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებების წარმოების მოცულობა ან მეტროლოგიური დამუშავების შედეგების გამოყენების მოცულობა.

მეტროლოგიურ სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი  $E_{\text{ff}}$  განისაზღვრება ფორმულით

$$E_{\text{ms}} = \frac{E_{\text{fw.ms}}}{\Delta K_{\text{ms}}}, \quad (11)$$

სადაც  $\Delta K_{\text{ff}}$  – დამატებითი კაპიტალური დაბანდებების ჯამია, რომელიც დაკავშირებულია მეტროლოგიური უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტასთან; დამატებითი კაპიტალური დაბანდებების ამოგების ვადა განისაზღვრება ფორმულით

$$T_{\text{am}} = \frac{\Delta K_{\text{ms}}}{E_{\text{fw.ms}}}. \quad (12)$$

#### 2.4. წლიური ეკონომიკური ეფექტის ანგარიში წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესების ხარჯზე

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფა არსებითად მოქმედებს წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. წლიური ეკონომიკური ეფექტის გათვლისათვის წარმოების ეფექტურობის ზრდის ფაქტორების მრავალსახეობიდან უნდა გამოვყოთ მხოლოდ ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მეტროლოგიურ უზრუნველყოფის სამუშაოთან დაკავშირებული მოქმედებების გაუმჯობესების ხარჯზე.

ფასთან და გავზომოთ დირექულებით ფორმაში მათი გავლენა შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე, მატერიალური რესურსების ეკონომიაზე, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებაზე, საწარმოო დანაკარგების შემცირებაზე, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე და ა.შ. როგორც წესი, მეტროლოგიური უზრუნველყოფა ახდენს კომპლექსურ ზეგავლენას წარმოების პრაქტიკულად ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე. ამიტომ წლიური ეკონომიკური ეფექტი ( $E_f$  წარ.) გამოითვლება როგორც ჯამი სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით წლიური ეკონომიკური ეფექტებისა:

$$E_{\text{fwar.}} = \sum_{i=1}^s E_{fi}, \quad (13)$$

სადაც  $s$  – წარმოების ეფექტურობის ზრდის შესაფასებელი ფაქტორების რაოდენობაა;

$E_{fi}$  – წარმოების ეფექტურობის ზრდის  $i$ -ური ფაქტორის ხარჯზე მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტია (გამოითვლება მიღებული მეთოდიკების მიხედვით).

ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც გაძნელებულია მთელი ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის მიღება. განსაკუთრებით ეს დამახასიათებელია წინასწარი ეკონომიკური ეფექტურობის გათვლისას. სამეცნიერო კვლევების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის და სხვა პრობლემების მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას გვხვდება სიტუაციები, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია უშუალოდ დავითვალოთ ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც ვიღებთ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ხარჯზე. ამ შემთხვევაში წლიური ეკონომიკური ეფექტის გათვლას ახდენენ ეკვივალენტურობის  $K_{\text{ეა.}}$  კოეფიციენტის გამოყენებით, ხოლო ფორმულა (9) მიღებს შემდეგ სახეს:

$$E_{\text{fwar.ms}} = (C_p^I + E_n \cdot K^I) \cdot \frac{B_{\text{ms}}^{II}}{B_{\text{ms}}^I} \cdot K_{\text{ekv.}} - (C_p^{II} + E_n \cdot K^{II}) \quad (14)$$

ეკონომიკური გათვლების პრაქტიკაში გამოიყენება ეპიზოდურების  $K_{\text{ეა.}}$  კოეფიციენტის სხვადასხვა მოდელები.

გაზომვათა ხარისხის ეკვივალენტურობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით

$$K_{\text{ekv.gx}} = \frac{K_{\text{k}}^{\text{II}}}{K_{\text{k}}^{\text{I}}}, \quad (15)$$

სადაც  $K_{\text{j}}^{\text{I}}$ ,  $K_{\text{j}}^{\text{II}}$  – შესაბამისად გაზომვათა ხარისხის კომპლექსური მაჩვენებლებია შესადარებელი ვარიანტების მიხედვით  $[K_{\text{j}}$  განისაზღვრება ფორმულით (3)].

გაზომვის მუშა საშუალებების მეტროლოგიური მახასიათებლების ეკვივალენტურობის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით

$$K_{\text{ekv.gms}} = \frac{M_{\text{f. gms}}}{M_{\text{d. gms}}} \cdot m_{\text{g i}}, \quad (16)$$

სადაც  $M_{\text{f. gms}}$  – გაზომვის საშუალების მოცემული ტიპის მეტროლოგიურ მახასიათებელთა კომპლექსი (ან ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი) მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ჩატარებამდე;

$M_{\text{d. gms}}$  – გაზომვის საშუალების მოცემული ტიპის მეტროლოგიურ მახასიათებელთა კომპლექსი (ან ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი) მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ჩატარების შემდეგ;

$m$  – წონადობის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მეტროლოგიური მახასიათებელების მნიშვნელობას გაზომვის საშუალების მოცემული ტიპის კომპლექსურ მაჩვენებელში (გამოითვლება საექსპერტო გზით).

მეტროლოგიურ მახასიათებელთა შედგენილობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ГОСТ 8.009 შესაბამისად.

ეკონომიკური ეფექტურობის გამოვლის პროცესში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი მეტროლოგიური მახასიათებლები:

ცდომილების ფაქტიური მნიშვნელობა  $\Delta_f$  და გაზომვის საშუალებათა ცდომილების დასაშვები მნიშვნელობის ზღვარი  $\Delta_d$ :

ცდომილების ფაქტიური  $\sigma(\Delta_f)$  და ნორმატიულად დადგენილი  $\sigma(\Delta_d)$  საშუალო კვადრატული გადახრის მნიშვნელობა.

ამ შემთხვევებში  $K_{\text{ekv.gms}}$  ექნება შემდეგი სახე

$$K_{\text{ekv.gms}} = \frac{\Delta_f}{\Delta_d} \cdot m_g; \quad (17)$$

$$K_{\text{ekv.gms}} = \frac{\sigma(\Delta_f)}{\sigma(\Delta_d)} \cdot m_g. \quad (18)$$

გაზომვის საშუალებათა კონკრეტული ტიპების სპეციფიკის და გაზომვათა ჩატარების პირობების გათვალისწინებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაზომვის საშუალებათა სხვა მეტროლოგიური მახასიათებლებიც.

გაზომვის საშუალებათა საინფორმაციო მახასიათებლების ეკვივალენტურობის კოფიციენტი ( $K_{\text{ekv.sm}}$ ) განისაზღვრება ფორმულით

$$K_{\text{ekv.sm}} = \frac{I_{\text{gms}}^H}{I_{\text{gms}}^I}, \quad (19)$$

სადაც  $I_{\text{gms}}^H I_{\text{gms}}^I -$  გაზომვის მუშა საშუალებების საინფორმაციო უნარია შესაბამისად მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების ჩატარების შემდეგ და ჩატარებამდე ( $I_{\text{gms}}^I$ -ის გათვლის მეთოდიკა განხილულია, მაგალითად [ ] სამუშაოში).

ეპონომიკური გათვლების პრაქტიკაში გამოიყენება ეკვივალენტურობის კოფიციენტების სხვა მოდელებიც.

**2.5. მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე დანახარჯებისა და კაპიტალური დაბანდებების გათვლა**

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებზე მიმდინარე დანახარჯების გათვლა ხდება კონკრეტულ დარგში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად.

მეტროლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე მიმდინარე დანახარჯები გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით

$$C_{p\eta} = C_{p1} + C_{p2} + C_{p3} + C_{p4} + C_{p5} + C_{p6} + C_{p7} + C_{p8}, \quad (20)$$

სადაც  $C_{p1}$  – ძირითადი და დამატებითი ხელფასია დარიც-ხებით სოციალურ დაზღვევაზე;

$C_{p2}$  – ზედდებული ხარჯები;

$C_{p3}$  – საამორტიზაციო;

$C_{p4}$  – დანახარჯები ელექტროენერგიაზე;

$C_{p5}$  – მასალებისა და სათადარიგო ნაწილების დირე-ბულება;

$C_{p6}$  – დანახარჯები გაზომვის საშუალებათა მიმდი-ნარე რემონტზე;

$C_{p7}$  – დანახარჯები გაზომვის სანიმუშო საშუალებე-ბის შემოწმებაზე, ატესტაციაზე და რემონტზე;

$C_{p8}$  – სატრანსპორტო დანახარჯები.

კაპიტალური დაბანდებები განისაზღვრება ფორმულით

$$K_{\theta\eta} = K_1 + K_2 + K_3 + K_4 + K_5 + K_6 - K_8, \quad (21)$$

სადაც  $K_1$  – დანახარჯებია სამეცნიერო-კვლევითი და საც-დელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე;

$K_2$  – დანახარჯები მეტროლოგიური სამსახურის შე-ნობა-ნაგებობის კაპიტალურ მშენებლობასა და კაპიტალურ რემონტზე;

$K_3$  – დანახარჯები ეტალონების, გაზომვის სანიმუშო საშუალებების შეძენაზე;

$K_4$  – დანახარჯები მოწყობილობის მოტანაზე, მონ-ტაჟზე და გაწყობაზე;

$K_5$  – დანახარჯები მეტროლოგიური სამსახურის აღ-ჭურვაზე გაზომვის დამატებითი უნივერსალუ-რი საშუალებებით, სარემონტო მოწყობილო-ბით, სატრანსპორტო საშუალებებით და ა.შ.;

$K_6$  – დანახარჯები კადრების მომზადებაზე გაზომ-ვის ახალი სანიმუშო საშუალებების ან მეტრო-ლოგიური სამუშაოების ახალი სახეობების ასათვისებლად

თუ გამოსაცვლელი მოწყობილობა შეიძლება ნაწილობ-რივ ან მთლიანად (კვანძები, დეტალები,, მაკომპლექსებელი

მოწყობილობები და ა.შ.) იქნეს რეალიზებული, კაპიტალური დაბანდებები შემცირდება რეალიზაციის K<sub>6</sub> თანხით.

## 2.6. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული ზოგიერთი სამუშაოს გეონომიკური ეფექტურობის შეფასების მაგალითები

რადიოტექნიკურ ქარხანაში სანიმუშო ტალღასატარული დატვირთვების კომპლექსის დანერგვის ეპონომიკური ეფექტურობის გაანგარიშება.

სანიმუშო ტალღური დატვირთვები გამოიყენება ავტომატური საზომების დაკალიბრებისა და შემოწმებისათვის. ტალღურ დატვირთვებს იყენებენ იმ საზომი მოწყობილობის მაგივრად, რომლის საშუალებითაც მდგრადი ტალღის კოეფიციენტის მნიშვნელობას საზღვრავდნენ ელემენტობრივი მეთოდით. ეს მეთოდი გამოირჩეოდა მაღალი შრომატევადობით და შემოჰკონდა დამატებითი ცდომილებები გაზომვის შედეგში. სანიმუშო დატვირთვები საშუალებას გვაძლევენ კომპლექსურად მივიღოთ მდგრადი ტალღის კოეფიციენტის მნიშვნელობები.

მესამე ცხრილში მოცემულია მდგრადი ტალღის კოეფიციენტის გაზომვის ელემენტობრივი და კომპლექსური მეთოდების ძირითადი ტექნიკურ-ეფონომიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 3

მაჩვენებლები	დამოწმების მეთოდები	
	ელემენტობრივი	კომპლექსური
ქარხნის წლიური მოთხოვნილება საშემოწმებო სამუშაოებში (B <sub>და</sub> ), შემოწმება	2000	2000
საჭირო დასამოწმებელი მოწყობილობის რაოდენობა (N), ერთეული	11	11
დასამოწმებელი მოწყობილობის ერთეულის საბალანსო დირექტება (ფასი) (P), ათასი ლარი	1,817	3,201

ცხრილი 3 გაგრძელება

მაჩვენებლები	დამოწმების მეთოდები	
	ელემენტობრივი	კომპლექსური
წლიური საექსპლუატაციო დანახოვები ( $C_{pI}$ ),	5,9	3,544
ერთი დამოწმებისათვის საჭირო დრო ( $t_{დამ}$ ), სთ	16,2	2,7
წლიური მწარმოებლურობა ( $B_{წარ}$ ) დამოწმების	189	764
დასამოწმებელი მოწყობილობის გამოსადეგობის ვადა ( $T_{დამ}$ ), წლები	8	10
დასამოწმებელი მოწყობილობის რენფიციის კოეფიციენტი ( $A$ )	0,0874	0,0627

მდგრადი ტალღის კოეფიციენტის სანიმუშო დატვირთვების დანერგვით მიღებული პოტენციური ეკონომიკური ეფექტი გამოითვლება ფორმულით

$$E_f = \left[ \left( P^I \cdot \frac{B_{w.mwar}^{II}}{B_{w.mwar}^I} \cdot \frac{A_1 + E_n}{A_2 + E_n} - P^{II} \right) + \frac{\left( C_{ps}^I \cdot \frac{B_{w.mwar}^{II}}{B_{w.mwar}^I} - C_{ps}^{II} \right)}{A_2 + E_n} \right] \cdot N^{II} = \left[ 1,817 \times \frac{764 \times (0,0874 + 0,15)}{189 \times (0,0627 + 0,15)} - 3,201 + \frac{5,9 \times \frac{764}{189} - 3,544}{0,0627 + 0,15} \right] \times 3 = 301,39 \text{ aTasi lari}$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$E_{წარ} = 301,39 / 10 = 30,139 \text{ aთასი ლარი},$$

ხოლო ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი იქნება

$$E_{დამ} = 30,139 / (3,201 - 1,817) = 4,3.$$

**2.7. სამუცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში ცΦ-2M  
ფაზის კალიბრაციონის დანერგვის ეკონომიკური  
ეფექტურობის გამოთვლა**

ცΦ-2M ტიპის ფაზის კალიბრაციონი განკუთვნილია ფიქსირებულ სიხშირეებზე ფაზომეტრების დასამოწმებლად. მისი დანერგვა ხდება დასამოწმებელი მოწყობილობის ნაცვლად, რომელიც შედგებოდა Г4-46 გენერაციონისაგან, ყ3-5 მაძლიერებლისაგან, С1-19 ოსცილოგრაფისაგან, В3-18 ვოლტმეტრისა და რედუქტორისაგან ფაზომაბრუნებლით.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 4

ცხრილი 4

მაჩვენებლები	დასამოწმებელი დანადგარები	
	შესაცვლელი	დასანერგვავი
გაერთიანების წლიური მოთხოვნილება დასამოწმებელ სამუშაოებში (B <sub>დღ</sub> ), დამოწმებები	1200	1200
დასამოწმებელი მოწყობილობის საჭირო რაოდენობა (N), ერთეული	3	1
დასამოწმებელი მოწყობილობის ერთეულის საბალანსო ლირებულება (ფასი) (P), ათასი ლარი	5,455	7,031
წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები (C <sub>ပ</sub> ), ათასი ლარი	1,638	1,851
დამოწმების წლიური მწარმოებლურობა (t <sub>დღ</sub> ), დამოწმება	414	1450
დასამოწმებელი მოწყობილობის გამოსადეგობის გადა (T <sub>დღ</sub> ), წელი	10	12
დასამოწმებელი მოწყობილობის რენოვაციის კოეფიციენტი (A)	0,0627	0,0468

СФ-2М კალიბრატორის დანერგვის პოტენციური ექონომიკური ეფექტი გამოივლება წინა მაგალითის მსგავსად ფორმულით

$$E_f = \left[ \left( 5,455 \times \frac{1450}{414} \cdot \frac{0,0627 + 0,15}{0,0468 + 0,15} - 7,031 \right) + \frac{\left( 1,638 \times \frac{1450}{414} - 1,851 \right)}{0,0468 + 0,15} \right] \cdot 1 = 33,36 \text{ aTasi lari}$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი გამოივლება ფორმულით:

$$E_{f\text{წ}} = 33,36 / 12 = 2,84 \text{ ათასი ლარი,}$$

ხოლო ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი

$$E = 2,84 / 7,031 = 0,4.$$

*2.8. აკუსტიკური ხელსაწყოების (ხმაურმატებების, სპექტრომეტრების, საზომი მიკროფონების და ა.შ.) საუწყებო დამოწმების ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობა რადიოტექნიკურ ქარხანაში*

ქარხნის მეტროლოგიური სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს აკუსტიკური საზომი ხელსაწყოების საუწყებო დამოწმება. დასამოწმებელი მოწყობილობის სახით გამოიყენება KOC-1 ტიპის სანიმუშო საშუალებათა კომპლექსი აკუსტიკური საზომი ხელსაწყოების დამოწმებისათვის.

საუწყებო დამოწმების ორგანიზაციამდე ქარხანა ახორციელებდა გაზომვის საშუალებათა პარკის ნაწილის დამოწმებას სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიაში.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მოყვანილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

მაჩვენებლები	ვარიანტები	
	დამოწმება სახ.ზედამხედველობის ლაბორატორიაში	საუწყებო დამოწმება
გაზომვის მუშა საშუალებების პარკი ( $N_{გმ}$ ), ერთეული	1100	1100
ჟოველწლიურად ხდება დამოწმება ( $N_{გმ.დამ}$ ), ერთეული	600	1100

ცხრილი 5 გაგრძელება

მაჩვენებლები	ვარიანტები	
	დამოწმება სახ.ზედამ-ხედველობის დაბო-რატორიაში	საუწყებო დამოწმება
გაზომვის საშუალებათა რაო-დენობა, რომელთა დამოწ-მება ხდება არარეგულარუ-ლად და ამის გამო არ გა-მოიყენება ( $N_{გმსარ}$ ), ერთეული	200	-
საშუალო დამოწმებათაშო-რისი ინტერვალი $t_{გშ}$ , წელი	1	1
ტრანსპორტირების შემდეგ მეტ-როლოგიური მტკუნებების მი-ხედვით გაზომვის მუშა საშუ-ალებათა დაწუნების საშუა-ლო პროცენტი ( $H_{მაგმს}$ ), %	10	-
გაზომვის მუშა საშუალებე-ბის დამოწმებაში ყოფნის დრო ( $t_{გვ}$ ), დღეები	40	5
სახელმწიფო მოსაკრებლე-ბის სიდიდე დამოწმებაზე ( $C_{გმ}$ ), ლარი	29	-
დანახარჯები მუშა გაზომ-ვის საშუალებების დემონ-ტაჟზე, ტრანსპორტირებაზე და და მონტაჟზე ( $C_{მგრ}$ ), ლარი	9	2
გაზომვის ერთი მუშა სა-შუალების საბალანსო დირე-ბულება ( $P_{გმს}$ ), ლარი	1000	1000
დასამოწმებელი კომპლექსის დირებულება ( $K_{გუდ}$ ), ლარი	-	45000

ცხრილი 5 გაგრძელება

მაჩვენებლები	გარიანტები	
	დამოწმება სახ.ზედამ- ხედველობის ლაბო- რატორიაში	საუწყებო დამოწმება
საწარმოო ფართობის დირე- ბულება ( $50 \text{ } \text{m}^2$ ; $180 \text{ } \text{ლარი}/\text{m}^2$ ) ( $K_{\text{მუს}}$ ), ლარი	—	9000
გაზომვის მუშა საშუალების დამოწმების დრო ( $t_{\text{დამ}}$ ), სთ	—	1,66
KOC-1 ტიპის სანიმუშო სა- შუალებათა კომპლექსის წლიური მწარმოებლურობა $B_{\text{წ.მ.რ}}^{\text{ა}}$ , დამოწმება	—	1200
მომსახურე პერსონალის რაოდენობა ( $R_{\text{მომ}}$ ), ადამიანი	—	1
წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები KOC-1 კომპ- ლექსის შენახვაზე ( $C_{\text{პ.ლ}}$ ), ლარი	—	9000
KOC-1 კომპლექსის გამოსა- დებობის ვადა ( $T_{\text{გ.დ}}$ ), წელი	—	10
KOC-1 კომპლექსის რენოვა- ციის კოეფიციენტი ( $A$ )	—	0,0627

გამოვითვალოთ წლიური დანახარჯების სიდიდე გაზომ-  
ვის მუშა საშუალებების დამოწმებაზე სახელმწიფო ზედამ-  
ხედველობის ლაბორატორიაში –  $C_{\text{მაუ}}:$   
სახელმწიფო მოსაქრებლები  $29 \times 600 = 17400$  ლარი  
სატრანსპორტო დანახარჯები  $9 \times 600 = 5400$  ლარი  
დანახარჯები გაზომვის საშუალებათა  
განმეორებით დამოწმებაზე  $(29+9) \times (600 \times 10) / 100 = 2280$  ლარი

$$\text{სულ: } C_{\text{მაუ}} = 25800 \text{ ლარი}$$

გამოვითვალოთ პოტენციური ეკონომიკური ეფექტი საუწყებო დამმოწმების ორგანიზაციისა ფორმულით

$$E_f = \left[ \frac{\left( C_{\text{pmu}}^I \cdot \frac{N_{\text{gms.dam}}^H}{N_{\text{gms.dam}}^I} - C_{\text{ps.d.}} \right) + P_{\text{gms}} \cdot E_n \cdot \left( N_{\text{gms.ar}}^I - N_{\text{gms.ar}}^H \right) + P_{\text{gms}} \cdot E_n \cdot \left( \frac{t_{\text{mu}}^I - t_{\text{mu}}^H}{365} \right) \cdot N_{\text{gms.dam}}^I}{A_2 + E_n} - \left( K_{\text{mu.dk}} + K_{\text{mu.sf}} \right) \cdot N^H = \right.$$

$$= \frac{\left( 25800 \times \frac{1100}{600} - 9000 \right) + 1000 \times 0,15 (200 - 0) + 1000 \times 0,15 \left( \frac{40 - 5}{365} \right) \times 600}{0,0627 + 0,15} -$$

$$-(45000 + 9000) \times 1 = 307683 \text{ lari}$$

აქ N – საჭირო დამმოწმებელი მოწყობილობის რაოდენობაა (ჩვენს შემთხვევაში KOC-1 ტიპის კომპლექსი ერთია).

წლიური ეკონომიკური ეფექტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$E_{\text{f.p.}} = 307683 / 10 = 30,768 \text{ ათასი ლარი},$$

$$\text{ხოლო ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი } E = 30,768 / (9000 + 45000) = 0,47.$$

## 2.9. ქარხანაში გაზომვის საშუალებების გაძირავების ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობის გათვალისწინები

ხშირად ქარხნის მეტროლოგიური სამსახური ახორციელებს იმ საზომი საშუალებების შიდასაქარხნო გაძირავებას, რომლებშიც პერიოდულად განიცდის საჭიროებას ქარხნის საამქროები, ლაბორატორიები, სამსახურები.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია მე-6 ცხრილში

ՀԵՐՈՈԾՈ 6

մահվենեծլեցի	ՅԱՐՈԱՆՑԵՑԻ	
	ՑԱՅԻՐԱՎԵՑԻ ԹՐՑԱՆԻՑԱՎՈԱԺՈՎ	ՑԱՅԻՐԱՎԵՑԻ ԹՐՑԱՆԻՑԱՎՈՈՍ ՄԵԺԵՑ
ցայիրավեցիս նոմենկլածվորոտ ցանոմցիս և ամպալեցիատա և ամպալանսու դորեծվածքա (K <sub>ց.վ</sub> ), առաջ լարո	170,0	170,0
ցանոմցիս և ամպալեցիատա ցամույնեցիս կողովուզույնիո (K <sub>բ</sub> )	0,25	0,65
ցանոմցիս և ամպալեցիատա ցայիրավեցիս թրցանիցավոանի վլույրո մօմդոնարյ դանասարչյեցի (E <sub>ց.վ</sub> ), առաջ լարո	-	15,0
40 <sup>2</sup> և ամուռու ցարտոնիս դորեծվածքա (K <sub>ց.վ.գ</sub> ), առաջ լարո	-	10,0
մովուծուլոնիս, և ամրանեառըրո և ամպալեցիս դորեծվածքա (K <sub>ց.վ. գ.գ</sub> ), առաջ լարո	-	12,0
րյենուացուս կողովուզույնիո (A) (12 վլուս մյամոնիս գատալուս-վոնցիոտ)	-	0,0468

Վլույրո յառնոմուցվորո յոյզելո ցանոմցիս և ամպալեցիատա ցայիրավեցիս թրցանիցավոուս մեժեցալ ցամուտվածքա ցորմա-լոտ:

$$E_{f,gaq} = \left( K_{gaq}^I \cdot \frac{K_d^{II}}{K_d^I} - K_{gaq}^{II} \right) - \frac{\left( E_{x,gaq} + E_n \times (K_{gaq,f} + K_{gaq,m,t}) \right)}{A_2 + E_n} = \\ = \left( 170,0 \cdot \frac{0,65}{0,25} - 170,0 \right) - \frac{15,0 + 0,15(10,0 + 12,0)}{0,0468 + 0,15} = 179,01 \text{ aTasi lari} .$$

Վլույրո յառնոմուցվորո յոյզելո ցամուտվածքա մեժեցալ նույնականացնարած

$$E_{f, gaq,w} = \frac{179,01}{12} = 14,9 \text{ aTasi lari},$$

եռլու յառնոմուցվորո յոյզելո ցամուտվածքա կողովուզույնիո

$$E = \frac{14,9}{10 + 12} = 0,68 .$$

## **2.10. გაერთიანების, საწარმოს მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება**

საწარმოების მეტროლოგიური სამსახურების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენს მათი წელილის ობიექტური შეფასება წარმოების ეფექტურობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ხდება მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ყველაზე უფრო ეფექტური მიმართულებების შერჩევის, წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფის გეგმებისა და პროგრამების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობის შედეგების შეფასებისა და მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის განსაზღვრის მიზნით.

საანგარიშო პერიოდის (წელი, ან რამდენიმე წელი) განმავლობაში გაერთიანების, საწარმოს მეტროლოგიური საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება, აგრეთვე მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების პერსაპექტიული გეგმების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ხდება შემდეგი მაჩვენებლების გათვლის გზითა და მათი შედარებით აღრე მიღწეულსა და ნორმატიულთან:

სამეურნეო წლიური ეკონომიკური ეფექტი;  
მეტროლოგიური სამსახურის საწარმოო ფონდების რენტაბელურობა;  
მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე დანახარჯების რენტაბელურობა;  
დამატებითი კაპიტალური დაბანდებების ამოგების გადა.

სამეურნეო წლიური ეკონომიკური ეფექტი  $E_{\text{შს}}$  განისაზღვრება როგორც წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული დონისძიებების კომპლექსის ერთი წლის განმავლობაში რეალიზაციის შედეგად გაერთიანების ან საწარმოს მიერ მიღებული დამატებითი მოგების ჯამი და გამოითვლება ფორმულით:

$$E_{f\text{mss}} = \left( E_{x\text{wmu}} + E_n \times K_{\text{wmu}}^I \right) \cdot \frac{B_{\text{ms}}^H}{B_{\text{ms}}^I} - \left( E_{x\text{wmu}}^H + E_n \times K_{\text{wmu}}^H \right) + E_{f\text{tem}}, \quad (22)$$

სადაც

$$E_{x\text{wmu}}^I E_{x\text{wmu}}^H - \text{წარმოების } \text{მეტროლოგიურ } \text{უზრუნველყო-$$

ფაზე  $\text{მიმდინარე } \text{წლიური } \text{დანახარჯებია}$   
 $\text{შესაბამისად } \text{მიმდინარე } \text{წელს } \text{და } \text{იმ } \text{წელს,}$   
 $\text{როდესაც } \text{დამთავრდა } \text{მეტროლოგიური } \text{უზ-}$   
 $\text{რუნველყოფის } \text{სრულყოფაზე } \text{მიმართული}$   
 $\text{ღონისძიებების } \text{გეგმის } \text{რეალიზაცია;$

$$K_{\text{wmu}}^I K_{\text{wmu}}^H - \text{მეტროლოგიური } \text{სამსახურის } \text{საწარმო}$$

ფონდების  $\text{საბალანსო } \text{დირებულებაა }$   
 $\text{შესაბამისად } \text{შესადარებელი } \text{ვარიანტების}$   
 $\text{მიხედვით;}$

$$B_{\text{ms}}^I B_{\text{ms}}^H - \text{მეტროლოგიური } \text{სამსახურის } \text{მუშაობის } \text{წლი-}$$

$$\text{ური } \text{მოცულობაა } \text{შესადარებელი } \text{ვარიან-$$

$$\text{ტების } \text{მიხედვით;}$$

$$E_{f\text{fj}} - \text{წარმოების } \text{ტექნიკურ-ეკონომიკური } \text{მაჩვენებ-}$$

$$\text{ლების } \text{გაუმჯობესების } \text{ხარჯზე } \text{გაერთიანე-$$

$$\text{ბის, } \text{საწარმოს } \text{მიერ } \text{მიღებული } \text{დამატებითი}$$

$$\text{მოგების } \text{ჯამი } (E_{f\text{fj}} \text{ განისაზღვრება } \text{მეტ-})$$

$$\text{როლოგიური } \text{სამსახურის } \text{მიერ } \text{შესრულე-}$$

$$\text{ბული } \text{ყველა } \text{მეტროლოგიური } \text{სამუშაოს } \text{მი-}$$

$$\text{ხედვით).}$$

უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მეტროლოგიური სამ-  
 $\text{სახურის } \text{სამუშაოთა } \text{მოცულობის } \text{რაოდენობრივი } \text{განსაზღვ-}$ 
 $\text{რა } \text{ერთიან } \text{მაჩვენებლებში. } \text{ამ } \text{საკითხის } \text{გადაწყვეტის } \text{ერთ-}$ 
 $\text{ერთ } \text{შესაძლო } \text{ვარიანტს } \text{წარმოადგენს } \text{შემდეგი: } \text{მეტროლო-}$ 
 $\text{გიური } \text{სამსახურის } \text{მუშაობის } \text{წლიური } \text{მოცულობა } (B_{\text{fj}})$ 
 $\text{განისაზღვრება } \text{პირობით } (\text{დაყვანილ }) \text{ ერთეულებში } \text{როგორც}$ 
 $\text{წარმოების } \text{მეტროლოგიური } \text{უზრუნველყოფის } \text{ყველა } \text{სახეო-}$ 
 $\text{ბის } \text{სამუშაოს } \text{ჯამი. } \text{დაყვანის } \text{ერთეულად } \text{შეგვიძლია } \text{მივი-}$ 
 $\text{ღოთ } \text{სამუშაოთა } \text{რომელიმე } \text{სახეობა, } \text{მაგალითად, } \text{დამოწმე-}$ 
 $\text{ბითი } \text{სამუშაოები. } \text{დანარჩენ } \text{სამუშაოთა } \text{შეფასება } \text{ხდება } \text{სირ-}$ 
 $\text{თულის } \text{კოეფიციენტის } \text{გათვალისწინებით.}$

მაჩვენებელი  $B_{\text{fj}}$  გამოითვლება ფორმულით

$$B_{\text{ms}} = \sum_{i=1}^s B_{\text{m}_i} \cdot K_{\text{srT.m}_i}, \quad (23)$$

სადაც  $s$  – მეტროლოგიური სამსახურის მიერ შესასრულებელ მეტროლოგიურ სამუშაოთა სახეობების რაოდენობაა;

$B_{\text{m}_i}$ - $i$ -ური სახეობის სამუშაოთა წლიური რაოდენობა;  $K_{\text{ხორ.მ}_i}$  –  $i$ -ური სახეობის მეტროლოგიური სამუშაოს სირთულის კოეფიციენტი.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ყოველკონკრეტულ შემთხვევაში წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია დავადგინოთ  $K_{\text{ხორ.მ}}$  საშუალო მნიშვნელობები საექსპერტო შეფასების მეთოდების გამოყენებით.  $K_{\text{ხორ.მ}}$  საშუალო მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია საექსპერტო შეფასებით მოცემულია ქვემოთ:

გაზომვის მუშა საშუალებათა დამოწმება	1
საწარმოში გაზომვათა მდგომარეობის ანალიზი	1000-1500
მეტროლოგიური უზრუნველყოფის სრულყოფაზე მიმართული ღონისძიებების გეგმის დამუშავება	300-500
გაზომვის მეთოდიკის დამუშავება	20-25
გაზომვის ახალი მეთოდიკის დანერგვა	35-40
გაზომვის, გამოცდისა და კონტროლის ახალი საშუალების დამუშავება	1000-1500
გაზომვის, გამოცდისა და კონტროლის ახალი საშუალებების დანერგვა	50-60
სახელმწიფო ან დარგობრივი სტანდარტის დანერგვა	80-100
საწარმოს სტანდარტის დამუშავება	50-60
საწარმოს სტანდარტის დანერგვა	35-45
ნორმატიულ-ტექნიკური, საკონსტრუქტორო ან ტექ- ნოლოგიური დოკუმენტაციის პროექტების	100-300
მეტროლოგიური ექსპერტიზის ჩატარება	1-2
გაზომვის საშუალებათა მეტროლოგიური ატესტაცია	1-2
გაზომვის საშუალებათა მეთოდიკის ატესტაცია	4-6
გაზომვის მუშა საშუალების რემონტი	8-10
გაზომვის სანიმუშო საშუალების დამოწმება	4-6
გაზომვის 1 სანიმუშო საშუალების გამოყენებაზე და მდგომარეობაზე კონტროლი	1-1,5
გაზომვის საშუალებათა გაქირავება (გაქირავების ერთეულის)	0,5-0,7

გაერთიანების მეტროლოგიური სამსახურის საწარმო  
ფონდების რენტაბელურობა ( $U_{\text{ხფ.მ}}^{\text{ს}}$ ) განისაზღვრება ფორმუ-  
ლით:

$$U_{\text{sf.ms}} = \frac{E_{\text{fmss}}}{K_{\text{wmui}}} \cdot 100\%. \quad (24)$$

მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე დანახარ-ჯების რენტაბულურობა ( $U_{\text{სუმ}}$ ) განისაზღვრება ფორმულით:

$$U_{\text{dan.ms}} = \frac{E_{\text{fmss}}}{E_{\text{rwmu}}} \cdot 100\%. \quad (25)$$

შეტროლოგიურ სამსახურში დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვის ვადა ( $T_{\text{მ}}^{\text{ა}}$ ) გამოითვლება ფორმულით:

$$T_{\text{ms}} = \frac{K_{\text{wmu}}^H - K_{\text{wmu}}^I}{E_{\text{fmss}}}. \quad (26)$$

მეტოლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის დონე განისაზღვრება  $U_{\text{სფ}}\text{შ}, U_{\text{დან}}\text{შ}, T_{\text{შ}},$  მაჩვენებლის შედარებით წინა პერიოდში მეტოლოგიური სამსახურის მუშაობის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, დარგის, გაერთიანების, საწარმოს ან მისი ცალკეული სამსახურების ხორმატიულ და ფაქტიურ ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

**2.11. ქარხნის მეცნიერობის სამსახურის საქმიანობის  
გეონომიკური ეფექტურობის გათვალ**

ქარხნის მეტროლოგიურმა სამსახურმა 2007 წელს შეასრულა წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფისა და პროდუქციის ხარხის სრულყოფაზე მიმართული სამუშაოების კომპლექსი. ქარხნის მეტროლოგიური სამსახურის ძარითადი შედეგები 2006 და 2007 წლებში მოყვანილია მე-7 ცხრილში

ცხრილი 7

მაჩვენებლები	წლები	
	2006	2007
გაზომვის მუშა საშუალებათა პარკი (N <sub>მსა</sub> ), ერთეული	38000	43000
მეტროლოგიური სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა (R <sub>მან</sub> ), ადამიანი	80	85
წლიური დანახარჯები მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე (C <sub>მგ_უ</sub> ), ათასი ლარი	400	480
მეტროლოგიური სამსახურის საწარმოო ფონდების ღირებულებები (P <sub>საწ.ფ.</sub> ), ათასი ლარი	500	560
წლიური ექინომიკური ეფექტი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობების ხარჯზე (E <sub>ტგ.ვ</sub> )	410	485
მეტროლოგიური სამუშაოთა ცალკეული სახეობების წლიური მოცულობა:		
გაზომვის მუშა საშუალებების დამოწმება (B <sub>მს.და.მ</sub> ), ერთეული	28000	31000
გაზომვების მდგომარეობის ანალიზი (B <sub>მსან</sub> ), ერთეული	—	1
ღონისძიებათა გეგმის დამუშავება (B <sub>მს.გ</sub> ), ერთეული	—	1
გაზომვათა მეთოდიკების დამუშავება (B <sub>მს.მე.გ</sub> ), ერთეული	3	3
გაზომვის ასალი საშუალებების დანერგვა (B <sub>მს.და.ნ</sub> ), ერთეული	5000	7000
სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა (B <sub>მს.სტ.</sub> ), ერთეული	3	4
საწარმოს სტანდარტების დამუშავება (B <sub>მს.საწ.მ</sub> ), ერთეული	4	3
დოკუმენტაციის მეტროლოგიური ექსპერტიზა (B <sub>მს.დო.ე</sub> ), ერთეული	3	7
გაზომვათა შესრულებების მეთოდიკების ატესტაცია (B <sub>მს.მე.გ</sub> ), ერთეული	25	30
გაზომვის მუშა საშუალებების რემონტი (B <sub>მს.რე.მ</sub> ), ერთეული	6000	9500
გაქირავებით მოცული გაზომვის საშუალებათა რაოდენობა (B <sub>მს.და.ქ</sub> ), ერთეული	500	800

(23) ფორმულით გამოვითვალოთ ქარხნის მეტროლოგიური სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა წლიური მოცულობა 2006 და 2007 წლებში

$$B_{ms2006} = 1 \times 28000 + 400 \times 3 + 50 \times 5000 + 80 \times 3 + 50 \times 4 + 200 \times 3 +$$

$$+ 2 \times 25 + 5 \times 6000 + 0,5 \times 500 = 310540 \text{ pirobiTi damowmeba;}$$

$$B_{ms2007} = 1 \times 31000 + 1000 \times 1 + 300 \times 1 + 400 \times 3 + 50 \times 7000 + 80 \times 4 + 50 \times 3 +$$

$$100 \times 7 + 2 \times 30 + 5 \times 9500 + 0,5 \times 800 = 432630 \text{ pirobiTi damowmeba.}$$

(22) ფორმულით გამოვითვლილი მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის წლიური ეკონომიკური ეფექტი

$$E_{step007} = (400 + 0,15 \times 500) \times \frac{432630}{310540} - (480 + 0,15 \times 500) + 485 =$$

$$+ 582,75 \text{ aTasi lari.}$$

მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის ფარდობითი საანგარიშო მონაცემები მოყვანილია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8

მაჩვენებლები	წლები	
	2006	2007
მეტროლოგიური სამსახურის საწარმოო ფონდების რენტაბულურობა $U_{sf.ms}$	$U_{sf.ms} = \frac{410}{500} \cdot 100 = 82\%$	$U_{sf.ms} = \frac{582,75}{560} \cdot 100 = 104,1\%$
მიმდინარე დანახარჯების რენტაბულურობა $U_{dan.ms}$	$U_{dan.ms} = \frac{410}{400} \cdot 100 = 102,5\%$	$U_{dan.ms} = \frac{582,75}{480} \cdot 100 = 121,4\%$
დამატებითი კაპიტალური დანაბანდების უპგრედის გადა $T_{\Delta}$	—	$T_{\Delta} = \frac{560 - 500}{582,75} = 0,10 \text{ welli}$

ამრიგად მეტროლოგიური სამსახურის საქმიანობის სრულყოფის შედეგად ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 2007 წელს გაუმჯობესდა 2006 წელთან შედარებით. წლიური ეკონომიკური ეფექტი გაიზარდა 172,75 ათასი ლარით. გაიზარდა მეტროლოგიური სამსახურის საწარმოო ფონდების უპგრედი. 2007 წელს საწარმოო ფონდების თითო ლარმა

მოუტანა ქარხანას 1,04 ლარი ეკონომია. ეკონომიკური ეფექტის ხარჯზე მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე დანახარჯების უკუგების კოეფიციენტი შეადგენს 1,21.

### **3. მეტროლოგიური სამსახურის ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება**

მეტროლოგიური სამსახურის განვითარების მართვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფის, საფინანსო, შრომითი, მატერიალური რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მეტროლოგიური უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგნოზების დამუშავება.

მართვის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს პროგნოზირების, დაგეგმვისა და მართვის პროცესების ორგანულ შერწყმას. დაგეგმვის პროცესებს უწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მეტროლოგიური სამსახურის მართვის მაღალეფების სისტემის შექმნა მოითხოვს სახალხო მეურნეობის მეტროლოგიურ უზრუნველყოფაში მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების ყოველმხრივ და დეტალურ შესწავლას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის; სახელმწიფო და საუწყებო სამსახურებში სამეცნიერო, საწარმოო რესურსების გამოვლენას სახალხო მეურნეობის მოთხოვნების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის; მოთხოვნილებებისა და რესურსების ოპტიმალურ ურთიერთდაკავშირებულობას და დაბალანსებას მათი გამოყენების ყველაზე ეფექტური დონის პირობებში.

პროგნოზირება წარმოადგენს დაგეგმვის პროცესის საწყის ეტაპს, რომელზეც იქმნება წინამდღვრები მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების გრძელვადიანი გეგმებისა და მიზნობრივი პროგრამების შესადგენად.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზის ქვეშ იგულისხმება დროის განსაზღვრულ პერიოდში მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და საორგანიზაციო განვითარების შესაძლო შედეგებისა და გზების შესახებ არგუმენტირებული და ურთიერთდაკავშირებული მრავალვარიანტიანი პიპოლება.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზირების ძირითად მიზანს შეადგენს მეტროლოგიური უზ-

რუნველყოფის სამუშაოებში პერსპექტიული მოთხოვნების გამოვლენა.

### **3.1. პროგნოზირების ობიექტები და მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზირების მაჩვენებლები**

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზების დამუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო მეტროლოგიური ორგანიზაციების ჩარჩოებში თანამშრომლობის პროგნოზები და განვითარების ტენდენციები.

ამ თვალსაზრისით მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზირების ობიექტის გამოკვლევა უნდა განხორციელდეს სისტემური მიდგომის საფუძველზე. პროგნოზის ობიექტი განიხილება როგორც შიდა და გარე ურთიერთდაკავშირებადი შემადგენელი ელემენტების სისტემა მათი იერარქიის გათვალისწინებით. მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზის ობიექტი განიხილება როგორც წარმოების უფრო მსხვილი სისტემის ელემენტი.

პროგნოზირების პროცესში მუშავდება მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების განვითარების პროგნოზების კომპლექსი და მათ საფუძველზე – სამეცნიერო კვლევების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მეტროლოგიური უზრუნველყოფის სფეროში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიური სამსახურის განვითარების პროგნოზები.

პროგნოზების კომპლექსის ცალკეული ელემენტების განვითარების პროგნოზირების ობიექტებია:

მეურნეობის მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების განვითარების პროგნოზები:

ზრდის ტემპები და სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების (დამოწმება, გამოცდა, შეჯერება, ექსპერტიზა, სტანდარტიზაცია და სხვ.) შესრულებაში მოთხოვნილება;

ზრდის ტემპები და მოთხოვნები მეტროლოგიური სამუშაოების ხარისხის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ;

სამეცნიერო კვლევების პროგნოზებში:

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის ახალი მეთოდებისა და საშუალებების დამუშავებაზე, საჭირო სიზუსტის

მიღწევის ხერხების დამუშავებაზე მიმართული ფუნდამენტური, გამოყენებითი კვლევების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების თემატიკა;

სამეცნიერო კვლევების განვითარების უფლებურობა და მათზე დანახარჯები;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგნოზებში:

ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულების ეტალონების სისტემა;

ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულების ეტალონები;

უტალონების საერთაშორისო ეტალონებთან შეჯერების ტექნიკური საშუალებები;

დროისა და სიხშირის სამსახურის ტექნიკური საშუალებები;

გაზომვის სანიმუშო საშუალებები;

ნივთიერებათა და მასალების შედგენილობისა და თვისებების სტანდარტული ნიმუშები;

ფიზიკური კონსტანტებისა და ნივთიერებათა და მასალების თვისებების შესახებ სტანდარტული საცნობარო მონაცემების სისტემა;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური) და ამასთან დაკავშირებული დანახარჯები;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სფეროში სტანდარტიზაციის განვითარების პროგნოზებში:

მოთხოვნები ეტალონების, სამოწმებელი სქემებისა და შეჯერების ტექნიკური საშუალებების მიმართ;

გაზომვის სანიმუშო საშუალებების ხარისხის მაჩვენებლები და მოთხოვნები გაზომვების მეთოდების მიმართ;

დროისა და სიხშირის სამსახურის ტექნიკური საშუალებების ხარისხის მაჩვენებლები;

გაზომვის საშუალებათა ნორმირებული მეტროლოგიური მახასიათებლების ნომენკლატურა;

გაზომვათა სიზუსტის ნორმები;

გაზომვის საშუალებათა დამოწმების, გამოცდის მეთოდების მიმართ მოთხოვნები;

ნივთიერებათა და მასალების შედგენილობისა და თვისებების სტანდარტული ნიმუშების ხარისხის მაჩვენებლები;

ფიზიკური კონსტანტებისა და ნივთიერებათა და მასალების თვისებების შესახებ სტანდარტული საცნობარო მონაცემების მიმართ მოთხოვნები;

ნორმირებადი მეტროლოგიური მახასიათებლები, საინფორმაციო-საზომი და მმართველი სისტემების დამოწმების მეთოდები;

მოთხოვნები მეტროლოგიური სამუშაოების ორგანიზაციის, დაფინანსებისა და დაგეგმვის მეთოდების მიმართ;

დანახარჯები და სტანდარტიზაციის განვითარების ეფექტურობა.

მეტროლოგიური სამსახურის განვითარების პროგნოზებში:

მეტროლოგიური სამსახურის შემადგენლობა და სტრუქტურა;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები;

მეტროლოგების კადრების მომზადება;

დანახარჯები და მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ეფექტურობა.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის ობიექტის განვითარება შეიძლება აიწეროს ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის პარამეტრების ერთობლიობის საშუალებით. პარამეტრების მთელი ერთობლიობის რაოდენობრივი მნიშვნელობები და მათ საფუძველზე გათვალისწინებული მაჩვენებლების რაოდენობრივი მნიშვნელობები ახასიათებენ ობიექტის მდგომარეობას დროის განსაზღვრულ მომენტში.

ვინაიდან მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზის ობიექტის შესაფასებლად გამოყენებული მაჩვენებლების მთელი ერთობლიობის პროგნოზირება რთულია და ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა მაჩვენებლის ერთმანეთზე ზეგავლენის გათვალისწინება, უნდა კუთრუნველყოთ უმთავრესი პროგნოზირებადი მაჩვენებლების შერჩევა. პროგნოზირებად მაჩვენებლებს ირჩევენ პროგნოზის დასმული ამოცანის, პროგნოზირების ობიექტის, პროგნოზის წინსწრების პერიოდის, სარწმუნო ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის არსებობის გათვალისწინებით. პროგნოზირებადი მაჩვენებლების რიცხვიდან გამორიცხავენ მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვითაც არ გაგვაჩნია სარწმუნო ინფორმაცია, აგრეთვე მეორეხარისხოვან მაჩ-

ვენებლებს, რომლებიც არ ახდენენ არსებით ზეგავლენას პროგნოზირებადი თბიექტის განვითარების დონეზე.

მეტროლოგიის განვითარების პროგნოზირების თეორიის დამუშავების ამ ეტაპზე შესაძლებელია განვიხილოთ პროგნოზირების სხვადასხვა თბიექტების მაჩვენებლების ნომებადატურა:

1. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებლები:

გაზომვის მუშა ხაშუალებების პარკის განვითარების მაჩვენებლები:

ნომენკლატურა, ტიპაჟი და სტრუქტურა (გაზომვის სახეობების, გაზომვის დიაპაზონების და სხვათა მიხედვით);

გაზომვის საშუალებათა წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ზრდის წლიური მოცულობები და ტემპები;

მეტროლოგიური მახასიათებლები (დასაშვები მნიშვნელობის ზღვარი, გაზომვის საშუალებათა ცდომილების მათვარის კურსი ლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრა ან სხვა მახასიათებლები);

მეტროლოგიური საიმედოობა;

გაზომვათ შესრულების პირობები;

გაზომვის საშუალებათა პარკის დირექტულება და სტრუქტურა წლების მიხედვით;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების განვითარების მაჩვენებლები:

მეტროლოგიური სამუშაოების წლიური მოცულობები და ზრდის ტემპები;

სამუშაოთა სტრუქტურა (გაზომვის სახეობების, დიაპაზონების, სამუშაოთა სახეობების, გაზომვის მუშა საშუალებების გამოყენების სფეროების მიხედვით);

სამუშაოთა ხარისხის მეტროლოგიური მახასიათებლების მიმართ მოთხოვნები (დამოწმების შედეგის დასაშვები ცდომილების ზღვარი და ა.შ.);

მოთხოვნები მეტროლოგიური სამუშაოების ავტომატიზაციის მიმართ;

მეტროლოგიური სამუშაოების შრომატევადობა;

დანახარჯები მეტროლოგიური სამუშაოების შესრულებაზე;

ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური).

2. სამეცნიერო კვლევების განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებლები:

სამეცნიერო კვლევების ტექნიკურ-ექონომიკური შედეგები; მეტროლოგიური უზრუნველყოფის პრაქტიკაში ახალი დამუშავებების დანერგვის ვადები; სამეცნიერო კვლევების მოცულობები; დანახარჯები სამეცნიერო კვლევებზე; კაპიტალური დაბანდებები; ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური).

3. მეტროლოგიური უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებლები:

ეტალონების სისტემის განვითარების მაჩვენებლები: ეტალონების სისტემის შედგენილობა და სტრუქტურა; ეტალონების დიაპაზონები, მეტროლოგიური მახასიათებლები;

ფიზიკური სიდიდეების ერთეულების მნიშვნელობათა გადაცემის შეთოდები;

სამოწმებელი სქემის სტრუქტურა (გაზომვის სანიმუშო საშუალებების თანრიგთა რაოდენობა, მათი მეტროლოგიური მახასიათებლები და სხვ);

შეჯერებისა და დამოწმების მეთოდები; ეტალონების მეტროლოგიური საიმედოობა; ვადები და დანახარჯები ეტალონების დამუშავებასა და შექმნაზე;

ღროისა და სიხშირის სამსახურების ტექნიკურ საშუალებათა მეტროლოგიური მახასიათებლები და მეტროლოგიური საიმედოობა;

შეჯერების ტექნიკური საშუალებების მეტროლოგიური მახასიათებლები და მეტროლოგიური საიმედოობა;

ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური);

გაზომვის სანიმუშო საშუალებების განვითარების მაჩვენებლები:

გაზომვის სანიმუშო საშუალებათა წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპები და მოცულობები;

გაზომვის სანიმუშო საშუალებათა პარკის სტრუქტურა (გაზომვის სახეობების, დიაპაზონების, თანრიგებისა და სხვათა მიხედვით);

ნომენკლატურა;

გაზომვათა დიაპაზონი;

მეტროლოგიური მახასიათებლები (გაზომვათა დასაშვები ცდომილების ზღვარი სათანადო სანდო ალბათობის პირობებში და სხვ.);

მეტროლოგიური და ტექნიკური საიმუდოობა;

ავტომატიზაციის ხარისხი;

მწარმოებლურობა;

დანახარჯები წარმოებაზე, ფასი;

კაპიტალური დაბანდებები წარმოების ათვისებაზე;

მომსახურების შრომატევადობა;

საექსპლუატაციო დანახარჯები;

ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური);

ნივთიერებათა და მასალების შედგენილობისა და თვისებების ხელმისაწვდომობა ნიმუშების განვითარების მაჩვენებლები:

წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ტემპები და მოცულობა;

პარკის სტრუქტურა (გაზომვის სახეობათა, დიაპაზონებისა და სხვათა მიხედვით);

ნომენკლატურა;

გაზომვის დიაპაზონები;

მეტროლოგიური მახასიათებლები;

მეტროლოგიური და ტექნიკური საიმუდოობა;

გამოყენების შრომატევადობა;

დანახარჯები წარმოებაზე, ფასი;

კაპიტალური დაბანდებები წარმოების ათვისებაზე;

ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური);

ფიზიკური კონსტანტებისა და ნივთიერებათა და მასალების თვისებების შესახებ ხელმისაწვდომობა მონაცემების სისტემის განვითარების მაჩვენებლები;

ამ სისტემის ნომენკლატურა და სტრუქტურა;

მეტროლოგიური მახასიათებლები;

დანახარჯები ამ სისტემის განვითარებაზე;  
ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სო-  
ციალური).

**4. მეტროლოგიური უზრუნველყოფის სფეროში სტანდარ-  
ტიზაციის განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებლები:**

სტანდარტების ნომენკლატურა, რაოდენობა და სტრუქ-  
ტურა;

განახლების ვადები და ტემპები;

დანახარჯები დამუშავებასა და დანერგვაზე;

ეფექტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სო-  
ციალური).

**5. მეტროლოგიური სამსახურის განვითარების დამახასია-  
თებელი მაჩვენებლები:**

მეტროლოგიური სამსახურის შემადგენლობა, სტრუქტუ-  
რები და ფუნქციები;

მეტროლოგიის სფეროში სპეციალისტების მომზადების  
მოცულობები და განვითარების ტემპები;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკუ-  
რი ბაზის განვითარებაში სპეციალიზაციისა და კოოპერი-  
რების დონე;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების ზრდის  
ტემპები, მოცულობები და დანახარჯების სტრუქტურა;

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების ეფექ-  
ტურობა (სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალუ-  
რი).

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგ-  
ნოზიების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1. **ექსტრაპოლაციის მეთოდები**, რომლებიც ეფუძნება მეტ-  
როლოგიური უზრუნველყოფის სისტემის სამეცნიერო-ტექ-  
ნიკური, საორგანიზაციო და ეკონომიკური განვითარების  
არსებული კანონზომიერებების მომავალში შენარჩუნების ვა-  
რაულს.

ექსტრაპოლაციის მეთოდები იყოფა შემდეგ სახეობებად:

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემური და სტრუქ-  
ტურული მახასიათებლების ექსტრაპოლაცია;

შეფასებითი ფუნქციური მახასიათებლების ექსტრაპოლაცია;

პროგნოზირების ობიექტების პარამეტრების ზომების შესახებ მონაცემების ექსტრაპოლაცია;

2. ექსპერტიზის მეთოდები, რომლებიც ეფუძნება ექსპერტიზის (მეტროლოგიის, ხელსაწყოთმშენებლობის დარგში სპეციალისტების) მოსაზრებებს მეტროლოგიური უზრუნველყოფის მომავალი სისტემის აღეკვატური მოდელის შესაძლო აგების შესახებ.

ექსპერტიზის მეთოდების ფარგლებში გამოიყენება მეთოდების შემდეგი სახეობები:

კოლექტიური საექსპერტო შეფასების (დელფის მეთოდი, „კომისიების“ მეთოდი და სხვ.);

ინდივიდუალური საექსპერტო შეფასების (ანალიტიკური საექსპერტო შეფასებები, „ინტერვიუირების“ მეთოდი).

3. მოდელირების მეთოდები, რომელიც დაფუძნებულია მომავალში მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების რთული და ლოგიკურად დაკავშირებული მოდელების აგებაზე. საწყისი ინფორმაციის სახით იყენებენ მონაცემებს პროგნოზირებადი ობიექტების განვითარების ტენდენციებისა და ტემპების შესახებ, ექსპერტების მოსაზრებებს. მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების მოდელების აგებისას გამოიყენება მათემატიკური ლოგიკის, გრაფების თეორიის, მატრიცული ანალიზის და სხვ. ფორმალური აპარატი.

მოდელირების მეთოდების ფარგლებში გამოიყენება მეთოდების შემდეგი სახეობები:

საინფორმაციო მოდელები (სამეცნიერო-ტექნიკური პუბლიკციების ნაკადების მოდელები, საინფორმაციო მოდელები საპატენტო ინფორმაციის საფუძველზე);

მათემატიკური მოდელები (ფუნქციურ-ტექნიკური მოდელები, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, სტატისტიკურ-ალბათური მოდელები);

ლოგიკური მოდელები – ნიმუშები („სცენარის“ მეთოდი, ისტორიული ანალოგიები);

პროგნოზირების მეთოდების შერჩევა განისაზღვრება პროგნოზირებადი ობიექტით, მისი მაჩვენებლების სახით, დასამუშავებელი პროგნოზის ეტაპებით, წინსწრების დროით, სარწ-

მუნი ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის არსებობით და სხვ.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზები შედგება მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების პროგნოზებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის სამეცნიერო-ტექნიკური, საორგანიზაციო და ეკონომიკური განვითარების პროგნოზებისაგან.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების პროგნოზები ხელს უწყობს მათ წინამსწრებ შესრულებას და ამ საფუძველზე ქმნის წინაპირობებს სამეურნეო გეგმების რეალიზაციის ეფექტურობის ზრდისათვის. მოთხოვნილების პროგნოზებს ამუშავებენ გაზომვის საშუალებათა პარკის მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესწავლის, გაზომვათა მდგომარეობის ანალიზის, წარმოების განვითარების პროგნოზების, გაზომვის საშუალებათა ექსპორტისა და იმპორტის პროგნოზების, მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების ტენდენციებისა და მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე.

პროგნოზირების ობიექტების განვითარების პერსპექტივების შესახებ პროგნოსტიკული მონაცემების, პროდუქციის წარმოების მოსალოდნელი მოცულობების, ნედლეულის ახალი სახეობების გამოყენების ტენდენციების შესახებ მონაცემების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ მონაცემების საფუძველზე დგინდება მეტროლოგიის სფეროში შემდგარ პერსპექტიკული მოთხოვნილებები:

თანამშრომლობის პროცესში სხვადასხვა მეტროლოგიური სამუშაოების შესრულებაში ზრდის ტემპები;

მეტროლოგიურ სამუშაოთა ხარისხის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ მოთხოვნები და ამ სამუშაოთა ზრდის ტემპები.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პროგნოზები დაფუძნებულია ძირითადად მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებში მოთხოვნილების პროგნოზებზე. განვითარების პროგნოზები ახასიათებენ პერსპექტიური განვითარების და სამეცნიერო კვლევების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, აგრეთვე მეტროლოგიური უზრუნველყოფისა და მეტროლოგიური სამსახუ-

რის სფეროში სტანდარტიზაციის განვითარების შესაძლო გზებს. მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზირებას უნდა ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი.

მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების პროგნოზები გაზომვათა სახეობების მიხედვით პროგნოზირების ობიექტების განზოგადების ხარისხის მიხედვით იყოფა კრებსით და კერძო პროგნოზებად გაზომვის ცალკეული სახეობების მიხედვით.

კრებსითი პროგნოზები ახასიათებენ მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების შესაძლო მიმართულებებს პროგნოზირებად პერიოდში მაჩვენებლების გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით მთლიანობაში გაზომვების ყველა სახეობის მიხედვით.

კერძო პროგნოზები ახასიათებენ მეტროლოგიური უზრუნველყოფის განვითარების შესაძლო მიმართულებებს პროგნოზირებად პერიოდში გაზომვის ცალკეული სახეობების მიხედვით.

### 3.2. მეტროლოგიური სამსახურის განვითარების პროგნოზის ძირითადი შედეგები

მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ტენდენციების ანალიზმა, აგრეთვე კონომიკური პროცესების ეგმ-ზე მოდელირებამ შესაძლებელი გახდა დაგვეღინა შემდეგი კანონზომიერებანი.

გაზომვის საშუალებათა წარმოების განვითარების საშუალო ტემპები შეადგენენ დაახლოებით 15%-ს, ხოლო პარკის ზრდა – 70%-ს საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპებისა. გაზომვის საშუალებათა პარკის სტრუქტურა მუდმივად როცლდება, რაც თავის მხრივ, ქმნის მისი მეტროლოგიური უზრუნველყოფის სირთულის ზრდის ტენდენციას.

შეიმჩნევა ხელსაწყოების შექმნის ტენდენცია დამოწმების ჩაშენებული აგტომატური საშუალებებით, ტენდენცია გაზომვის საშუალებათა გამოყენების ინტენსიფიკაციისა. გაზომვის საშუალებათა გამოყენების საშუალო კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 0,2-0,25-დან 1980 წელს 0,6-0,7-მდე. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მეტროლოგიური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფამ და განსაკუთრებით ხელსაწყოების გაქირავების პრაქტიკამ.

სპეციალისტების აზრით პროგნოზირებად პერიოდში მეტ-როლოგიურ სამუშაოთა საერთო მოცულობაში შედარებით შემცირდება დამოწმებათა წილი, ხოლო პროექტების მეტროლოგიური ექსპერტიზის, გაზომვათა ანალიზის, მეტროლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზაციისა და დაგეგმვის წილი გაიზრდება.

მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზის მოდელირება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია მეტროლოგიური სამსახურის განვითარების ტემპების არსებითი ზრდა გაზომვის მუშა საშუალებების წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით. უნდა ამაღლდეს მეტროლოგიური სამსახურის ეფექტურობა (მეტროლოგიურ სამუშაოთა ავტომატიზაცია და მექანიზაცია), შეიქმნას მაღალმწარმოებლური მეტროლოგიური ტექნიკა, ამაღლდეს მეტროლოგების შრომის მწარმოებლურობა.

გაზომვებზე დანახარჯებთან შედარებით გაიზრდება დანახარჯების წილი მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე.

## ლიტერატურა

1. ზედგინიძე ი. მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია. – თბილისი: გექნიკური უნივერსიტეტი, 2007, 236 გვ.
2. Зедгинидзе И.Г. Экономика качества. Технический университет-«Центр информатизации», 2006 г.-149 с.
3. Курников И.Б. Экономическая эффективность метрологического обеспечения. М., «Знание», 1976.
4. Курников И.Б. Экономические проблемы метрологии. М., 1977, 64 с.
5. Зедгинидзе И.Г. Метрология и метрологическое обеспечение. Технический университет-«Центр информатизации», 2007 г.-100 с.